საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყვეყა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 19-20 ივლისი . 2021 წ. №157-158 (9276-9277) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ძალაუფლებისთვის ჭკუიდან გადასულმა ნაძირალებმა სისხლის სუნი იკრეს...

როდემდე!

მტაცებელი ცხოველის თვისებაა – როგორც კი სისხლის სუნი ეცემა, ცხვრის ფარაა, საძონლის ნახირი თუ ცხენების რემა, ეგრევე შეტევაზე გადადის. მით უმეტეს, თუ შიმშილისგან დაჯმენდილია, თავგრუდახვეული...

გუშინ სწორედ მსგავსი სურათი ვნახეთ. შავი, საშინელი სურათი. შავი კვადრატი, ანუ არჩევნებამდე ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეშლილი ნაძირალები, რომელთაც, მშიერი, მტაცებელი ცხოველისა არ იყოს, ხელისუფლება შიათ. შიათ და მერე როგორ! უკვე ვეღარც მალავენ, ანდა როდის მალავდნენ რო!

ამ უმჭკუა ნაძირალებს 5 ივლისს დაშავებული ერთ-ერთი თავიანთი გამხმოვანებელი არხის, კერძოდ, „პირველის“ ოპერატორის დღემდე მეტ-ნაკლებად საეჭვო სიკვდილმა, მომხდარიდან თითქმის ერთი კვირის თავზე, უმალ სახელმწიფოზე თავდასხმის მტაცებლური ჟინი გაუღვიძა და აგერ უკვე მთელი ორი კვირაა ეგრეთ წოდებული ოპოზიციური ოთხი არხის ეგრეთ წოდებულმა ოცდაათვერცხლიანმა ჟურნალისტებმა პირდაპირ ბინძური, დემაგოგიური, პროვოკაციული ომი გამოუცხადეს, სამწუხაროდ, ჯერ ისევ მყიფე ჩვენს სახელმწიფოს, რომელიც ყველა ჩვენგანის ყოველდღიურ თანადგომას საჭიროებს და არა ჯანჯღარსა და ჯიჯგნას.

დიახაც, სახელმწიფოს ამ ჯანჯღარსა და ჯიჯგნას შევესწარით გუშინ, 11 ივლისს, როცა ნაციონალი მამრნი და მდედრნი ცოფიანი ძაღლებივით მიეჭრნენ ტრიბუნაზე შემდგარ შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც პარლამენტის მიწვევით მივიდა 5-6 ივლისს მომხდარი ამბების გამო მოსახსენებლად, და საქმეზე ლაპარაკის უფლება არ მისცეს. პარლამენტის თავმჯდომარე გაიძულებულდა, რომ სხდომა გადაედო...

რუსთაველის გამზირზე და პარლამენტის სხდომათა დარბაზში გამართულმა ყოველგვარ ზღვარს გადაცილებულმა უტიფარმა თავაშვებულობამ და აშკარა ძალმომრეობამ ცხადად დაანახა ამომრჩეველს, თუ ამჟამინდელი ეგრეთ წოდებული ოპოზიციის სახით, რომელსაც თავის დაკრულზე ათამაშებს დღემდე პასუხუგები ბოროტმოქმედი სააკაშვილი, რა სისხლმოწყურებულ შავ ძალასთან აქვს საქმე.

უკვე უკრაინულ მაიდანზეც დაიწყეს ბოდვა, ოღონდ მცირე მსხვერპლით. და ამ დროს ეს უმჭკუა მოძალადენი სხვათა ძალადობაზე დოღრიალებენ.

საკვირველია, როდემდე უნდა ელოლიავებოდეს ხელისუფლება ძალაუფლების მიტაცებისთვის აშკარად გაგიჟებულთ!

უკვე თითქმის ცხრა წელია, ამ პოლიტიკური ბანდისგან მოსვენება არა აქვს ქვეყანას.

გამოსავალს დროზე უნდა პოვნა, გამოსავალი მხოლოდ კუბოდან არ არის! მტერს იმის იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ თუ ერთ ლოყაში სასიკვდილოდ გაგვარტყამს ბინძურ ხელს, ეგრევე მეორე ლოყას მივუშვერთ!...

სახელმწიფო ვალდებულია, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაგვიცვას ამ უმჭკუა, ბოროტ მოძალადეთაგან!

„ახალი ეკონომიკური სასწაულის“, ანუ ჩვენი მიწისქვეშა მტკნარი წყლების ათვისების და ამ ეროვნული სიმდიდრის ხალხის სამსახურში ჩაყენების ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე ხელისუფლების ყურადღების მისაპყრობად დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი ესაუბრება საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, კონცეფციის პროგრამების ავტორსა და თანაავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელს, საინჟინრო და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრს, მეცნიერებათა დოქტორს პაატა ბიორგაძეს.

ფრთხილად!

საქართველოში „ნეოლიბერალიზმის“ ახალი ფაზა,

6-7

ანუ აბსოლუტური კაპიტალიზმის საშიში ფაზა მძვინვარებს!

თავაშვებული ბედია,

ანუ პროვინციელი ქაჯები

3

გამუდმებულ ბრძოლებში იწერებოდა ჩვენი ისტორია. ქართულმა სულმა მაინც გაუძლო ჟამთა განსაცდელს. მე-20 საუკუნის მიწურულს ქართველმა ხალხმა ისევ შეძლო თავისი სახელმწიფოებრიობის, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა და ამით თავადვე ითავა ეროვნული ორგანიზმის მოვლა-პატრონობა.

სამწუხაროდ, ამჟამად სულიერი ცხოვრების სფეროში ვითარება მეტად დამძიმდა. ქვეყანაში უაღრესად გააქტიურდნენ ლგბტ-ს წარმომადგენლები, რომლებიც ადამიანური გრძნობების სიწმინდეს, ჩვენი წინაპრებისგან სისხლის ფასად დატოვებულ ყოველგვარ სულიერ საგანძურს, ადათ-წესებს, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, რისთვისაც ღირს ერის სიცოცხლე, დასცინიან, ბილწავენ, უმიზეზოდ აქციებს აწყობენ და მოსვენებას არ აძლევენ არც სახელმწიფოს და არც ხალხს.

№ 157-158. ორშაბათი-სამშაბათი, 19-20 ივლისი, 2021 წელი.

„იყო ღამე, გახდა დღე“!

ვაძლევ პირობას ყველას, რომ ეს გაუგებრობა ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან აუცილებლად აღმოიფხვრება და ყველა კითხვას გავცემთ პასუხს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მან კომენტარი გააკეთა საქართველოს პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, სახელმწიფო მდივნისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებებთან დაკავშირებით. ღარიბაშვილის თქმით, საკითხზე საჭიროა მეტი კომუნიკაცია, მეტი ურთიერთობა და მეტი ახსნა-განმარტება.

„უკმაყოფილება არის გამოხატული სასამართლოსთან, მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით. ჩვენმა ხელისუფლებამ, როცა მოვედით ხელისუფლებაში 2012 წელს, გავაკეთეთ ძალიან დიდი რეფორმა საქართველოში, რომლის შედეგად უდიდესი პროგრესი იყო მიღწეული სასამართლოში. 2012 წლამდე სასამართლო იყო პროკურატურის ჩვეულებრივი დანაყოფი. სამწუხაროდ, არ მომისმენია არასდროს, არც ამერიკის, არც ევროპის კრიტიკული შენიშვნა იმდროინდელი სასამართლოს მიმართ, რაც, თქმა უნდა, სამწუხაროა და არ არის სამართლიანი. მეორე მხრივ, ამ პროცესს ვაგრძელებთ. განვაცხადეთ, რომ ვაგრძელებთ სასამართლოს ფართომასშტაბიან რეფორმას, რომელიც არის განგრძობითი პროცესი. არ ვამბობთ, რომ ვართ იდეალური და უშეცდომონი, მაგრამ ეს არის პროცესი. რაც გავაკეთეთ რვა წლის განმავლობაში, არის როგორც დღე და ღამე. იყო ღამე, გახდა დღე, ნათელი. ამასთან, სასამართლოს დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის კუთხით, ვუსწრებთ ევროკავშირის ძალიან ბევრ ქვეყანას. ჩვენი მოქალაქეების მხრიდან სასამართლოს ნდობის მხრივ ვართ მოწინავე რიგებში ევროკავშირის მასშტაბით. ვიღაცას შეიძლება ჰქონდეს რაიმე შეკითხვა და გარკვეული გაუგებრობა შეიქმნას. ვაძლევ პირობას ყველას, რომ ეს გაუგებრობა ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან აუცილებლად აღმოიფხვრება და ყველა კითხვას გავცემთ პასუხს. საჭიროა მეტი კომუნიკაცია, მეტი ურთიერთობა და მეტი ახსნა-განმარტება“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ამ დღეებში განცხადება გაავრცელა, რომელშიც მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, შეასრულოს 19 აპრილის შეთანხმება, მათ შორის უზენაეს სასამართლოში დანიშვნების შეჩერება გამჭვირვალე მართლმსაჯულების რეფორმის ჩატარებამდე.

ამასთან, სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენის განცხადებით, აშშ ღრმადაა შეწუხებული საქართველოს პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დამტკიცების გამო, რაც ეწინააღმდეგება 19 აპრილის შეთანხმებას.

თავის მხრივ, საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა, რომ აშშ-ის მთავრობის განცხადებები არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის შეშფოთების გამომხატველი გზავნილები, რაც ძალიან სერიოზულად უნდა იყოს აღქმული.

ყველაფერი საუკეთესო – ჯარს!

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ღირსეული პირობები შევუქმნათ ჩვენს სამხედროებს, მათი სოციალური უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის მიზნით და მომავალშიც გავაგრძელებთ ასეთი პროექტების განხორციელებას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ჟურნალისტებს „ჯარის ქალაქის“ — Army City-ის მშენებლობის პროცესის გაცნობის შემდეგ განუცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, პროექტი „ჯარის ქალაქი“, რომელიც გათვლილია 1050 სამხედრო მოსამსახურეზე 2022 წლის ზაფხულში დასრულდება.

„ჩვენ „ჯარის ქალაქის“ მშენებლობა გასული წლის ოქტომბერში დავიწყეთ. თქვენ ხედავთ, რომ უკვე 28 კორპუსი არის აშენებული. ძალიან მაღალი ტემპით მუშაობს სამშენებლო კომპანია და ეს პროექტი „ჯარის ქალაქი“, რომელიც გათვლილია 1050 სამხედრო მოსამსახურეზე დასრულდება 2022 წლის ზაფხულში. პროექტი დავიწყეთ რამდენიმე თვის წინ. ეს არის პირველი ფაზა 1050 სამხედრო მოსამსახურეზე და შემდეგ ხუთი ასეთი პროექტის დაწყება არის დაგეგმილი ამ ტერიტორიაზე და ეს იქნება ჩვენი გმირი ჯარისკაცების ახალი დასახლება, ახალი უბანი, ახალი ქალაქი. ჩვენ, მთავრობა ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ღირსეული პირობები შევუქმნათ ჩვენს სამხედროებს, მათი სოციალური უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის მიზნით და მომავალშიც გავაგრძელებთ ასეთი პროექტების განხორციელებას“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ფართომასშტაბიანი პროექტის — „ჯარის ქალაქის“ — Army City-ის მშენებლობა, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრობის პერიოდში, გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო, აქტიურ ფაზაშია. პროექტის მიმდინარეობას საქართველოს პრემიერ-მინისტრი მახათას მთაზე თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესა და თავდაცვის ძალების მეთაურთან, გენერალ-მაიორ გიორგი მათიაშვილთან ერთად გაეცნო.

„ჯარის ქალაქის“ — Army City მშენებლობა 2022 წლის ბოლოს დასრულდება. პროექტის მიხედვით მახათას მთაზე 7-სართულიანი 39 კორპუსი აშენდება, რომელშიც 1092 ბინა იქნება. დღევანდელი მდგომარეობით, 32 საცხოვრებელი კორპუსი მშენებლობის პროცესშია, სადაც ძირითადად მონოლითური სამუშაოები ხორციელდება — ხდება სართულების ამოყვანა, ისხმება სართულებს შორის ფილები, ქვედა სართულებზე კი, მიმდინარეობს ბლოკის წყობა, ბინების ერთმანეთისგან გამიჯვნა სამეზობლო ტიხრებითა და შიდა ტიხრებით, ასევე მიმდინარეობს ლითონის დამუშავების სამუშაოები ფასადისთვის. დანარჩენ 7 საცხოვრებელ კორპუსზე კი, სრულდება ფუნდამენტის ქვაბულის ამოღების და საძირკვლის მოწყობის სამუშაოები.

ოფიცრებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა ამხანაგობა. ამხანაგობის მონაწილეები არიან თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული სამხედრო მოსამსახურეები. 2022 წლის ბოლოსთვის სამხედროები „ჯარის ქალაქში“ თეთრი კარკასის მდგომარეობით 50მ², 80მ² და 110მ²-იანი საცხოვრებელი ფართის შეძენას, სულადობის პრინციპის გათვალისწინებით, უპრეცედენტოდ შეღავათიანი პირობებით შეძლებენ.

„ჯარის ქალაქში“ სამხედროებს ერთ კვადრატულ მეტრში საშუალოდ 100 დოლარის გადახდა მოუწევთ. ამ თანხის გადასახდელად სამხედროებს საშუალება ექნებათ, არა საბანკო გარანტიებით, არამედ უპროცენტო შიდა განვადებით ისარგებლონ. „ჯარის ქალაქში“ მოეწყობა ბავშვებისთვის გასართობი სივრცეები, შიდა გზები, რეკრეაციული და პარკირების ზონები. „ჯარის ქალაქი“, რომელიც ყველაზე მასშტაბური პროექტია, უმნიშვნელოვანესი ნაწილია თავდაცვის სამინისტროს სოციალური პოლიტიკისა — ყველაფერი საუკეთესო ჯარს!

სალომე ზურაბიშვილმა შვეიცარიის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა

საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილსა და შვეიცარიის პრეზიდენტს გიპარმელინს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა შვეიცარიელ კოლეგას მადლობა გადაუხადა საოკუპაციო რეჟიმის მიერ უკანონოდ დაკავებული ზაზა გახელაძის გათავისუფლებაში შეტანილი წვლილისა და გაწეული ძალისხმევისათვის.

„თავის მხრივ, შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტს განუახლა მოწვევა, რადგან კორონავირუსის პანდემიის გამო, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი შვეიცარიაში 2020 წელს ვერ განხორციელდა. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებასა და განვითარებაზე ისაუბრეს და ხაზი გაუსვეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ვაჭრობისა და ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის მეტად გაღრმავების მნიშვნელობას“, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

კელი დეგნანი: ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ჩამოსვლა უდიდესი პატივია

„19 აპრილის შეთანხმებასთან დაკავშირებით მიმდინარე მედიაციის პროცესში ევროკავშირთან ძალიან კარგად ვმუშაობდით. მიშელის ვიზიტის პროცესში პირდაპირ ვარ ჩართული, მაგრამ საქართველოსთვის უდიდესი პატივია, რომ ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ჩამოდის აქ. ბათუმის კონფერენცია არის მნიშვნელოვანი ღონისძიება და მონაწილეთა დონე ამის ნათელი დასტურია. დარწმუნებული ვარ, რომ მოხდება სასარგებლო ხედვების გაცვლა. ეს არის კარგი შესაძლებლობა, იყოს საუბარი არამხოლოდ საქართველოზე, არამედ საქართველოს როლზე მთელი შავი ზღვის რეგიონში“, — განაცხადა კელი დეგნანმა.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მორიგი ვიზიტი 18-19 ივლისსაა დაგეგმილი. შარლ მიშელს, ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან ერთად, მმართველი გუნდისა და ოპოზიციის წევრები 19 აპრილის შეთანხმების აღსრულების შესახებ მიაწოდებენ ინფორმაციას. 20 აპრილს, როდესაც შარლ მიშელი საქართველოში ჩამოვიდა, სალომე ზურაბიშვილმა შარლ მიშელს ბათუმში ასოცირების სამიტის ჩატარება შესთავაზა.

პარლამენტმა ოპოზიციონერებს უფლებამოსილება არ შეუწყვიტა

საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ 52 ოპოზიციონერ დეპუტატს უფლებამოსილება ვადაზე ადრე არ შეუწყვიტა. კენჭისყრას 101 დეპუტატი ესწრებოდა, თუმცა, არც ერთი ოპოზიციონერის საკითხის კენჭისყრისას, პულტი 6-ზე მეტ დეპუტატს არ გამოუყენებია.

კენჭისყრამდე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციონერი დეპუტატისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მხარდაჭერას არ აპირებდნენ. მისი თქმით, გადაწყვეტილება „პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით“ მიიღეს.

კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება, თუ მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით სხდომების ნახევარზე მეტს არ დაესწრება. პარლამენტის ოპოზიციონერი წევრები 31 ოქტომბრის არჩევნების შედეგების გაპროტესტების მიზნით, მეათე მოწვევის პარლამენტის მუშაობაში რამდენიმე თვე არ მონაწილეობდნენ.

2021 წლის მორიგი საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენათა რაოდენობის გამო, კენჭი შემდეგი დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს ეყრებოდა — თეონა აქუბარდიას, არმაზ ახვლედიანის, დავით ბაქრაძის, ლევან ბეჟაშვილის, თინათინ ბოკუჩავას, გიორგი ბოტკოველის, გიორგი გოდაბრელიძის, რომან გოცირიძის, ხატია დეკანოიძის, ლევან ვარშალომიძის, გიორგი ვაშაძის, გრიგოლ ვაშაძის, აბდულა ისმაილოვის, მანუჩარ კვირკელიას, ვახტანგ კიკაბიძის, დავით კირკიტაძის, თამარ კორძაიას, ნონა მამულაშვილის, პაატა მანჯგალაძის, ნიკა მაჭუტაძის, ვახტანგ მეგრელიშვილის, აკაკი მინაშვილის, შალვა ნათელაშვილის, ტარიელ ნაკაიძის, კობა ნაყოფიას, ანა ნაცვლიშვილის, რამაზ ნიკოლაიშვილის, კახაბერ ოქრიაშვილის, სალომე სამადაშვილის, ხათუნა სამნიძის, გუბაზ სანიკიძის, სულხან სიბაშვილის, ზაალ უდუმაშვილის, დავით უსუფაშვილის, ბაჩუკი ქარდავას, შალვა შავგულიძის, თამარ ჩარკვიანის, ცეზარ ჩოჩელის, ნატო ჩხეიძის, როსტომ ჩხეიძის, ანა წითლიძის, დევი ჭანკოტაძის, ლევან ხაბეიშვილის, დილარ ხაბულიანის, მამუკა ხაზარაძის, დავით ხაჯიშვილის, ეკატერინე ხერხეულიძის, იაგო ხვიჩიას, ელენე ხოშტარიას, თეიმურაზ ჯანაშიას, ბადრი ჯაფარიძის და ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის უფლებამოსილების შეწყვეტას.

№ 157-158. ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19-20 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 2021 ᲬᲔᲚᲘ.

ᲗᲐᲕᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲐ, ᲐᲜᲣ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲑᲘ

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

აქ საჭიროა შემდეგიც ითქვას. დღეს ყველა კარგად ხედავს და ყველამ კარგად იცის, რომ რაც „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყანაში არეულობა მოხდა, უშუალოდ უკავშირდება გაქცეულ პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელიც გეგმავს და გულუხვად აფინანსებს კიდეც თბილისსა და რეგიონებში მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებს. ეს მაოხრებელი გზირი, რომელსაც უზარმაზარი ფინანსური რესურსები გააჩნია და ყველაზე მდიდარი კაცია საქართველოში და ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი მსოფლიოშიც კი, თავისას არ იშლის და სულ იმის ცდაშია, რა ზიანი მიაყენოს ქვეყანას. თუ თავს არ მოვიტყუებთ, 2013 წელს დაჭერის ნაცვლად მას გზა გაუთავისუფლეს ქვეყნიდან გასაქცევად. საერთოდ, ნაციონალური მოძრაობა დედაწულიანად უნდა გაესამართლებინათ ქვეყანაში მშვიდობას რომ დაესადგურებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, დასავლეთმა ნაცების კოჰაბიტაცია მოგვახვია თავს, რადგან უდიდესი სახსრები იყო დახარჯული ნაცების მოსაყვანად და დასავლეთს ასეც აწყობდა. ძნელია სხვაგვარი ახსნის მოძებნა. ნაციონალური მოძრაობის გასამართლება არც ახლა არ არის გვიან, რადგან მარტო გაზეთ „ასავალ-დასავალში“ მათი ავკაცობის შესახებ მოწმეთა იმდენი ჩვენებაა დაბეჭდილი, ეს სიძნელეს არ წარმოადგენს. თუ ეს ჩვენებები სინამდვილეს არ შეესაბამება, კეთილი ინებონ და უჩივლონ გაზეთს, მაგრამ ასატკივარი თავი არავის აღმოაჩნდა.

პრეზიდენტყოფილმა თავი შეაფარა თუ არა უკრაინას, მაშინვე დაიწყო დასაყრდენის მოძებნა ქვეყნის ასარევად. მან ძველ მოკავშირეს „რუსთავი–2“-ის არხს (შემდეგში „მთავარი არხი“) დაუმატა „ტვ პირველი“ და „ფორმულა“. ქვეყნის ასარევად კი ნაციონალებს სათავეში ჩაუყენა ნიკანორ მელია, თავად კი უკრაინიდან დაიწყო ჩვენი დამოძღვრა და დესტაბილიზაციის პროცესების მართვა. თავის მხრივ „ტვ პირველი“ სამსახურში იღებდა ისეთ სრულიად ახალგაზრდა, უვიც გოგონებს, რომლებსაც მხოლოდ ენა ჰქონდათ „გასარსალებული“ და ადვილად სამართავნიც იყვნენ.

კაცი ბრმა და ყრუ უნდა იყოს, ვერ დაინახოს, 20 ივნისის გავრილოვის ღამეს როგორ თავდაუზოგავად ურტყამდნენ აქციის დაქირავებული მონაწილეები პოლიციელებს და როგორ ლამობდნენ ნიკანორ მელიას თამადობით პარლამენტში შეჭრას. დაფიქრდა რომელიმე ნაციონალი იმის შესახებ, რომ გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომას ქვეყანა უნდა გადაგვეყოლებინა?

რომელი ერთი გავიხსენოთ, მელია პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს საგულდაგულოდ ნაციონალებთან ერთად თელავში წავიდა არეულობების მოსაწყობად, მაგრამ შუა გზაში, დიდი ძალისხმევის შედეგად, შეაჩერეს და გადავრჩით უცხო ქვეყნიდან ინაუგურაციაზე ჩამოსული სტუმრების წინაშე თავის მოჭრას. მელიას ხელმძღვანელობით, წინასწარ გაყალბებულად გამოაცხადეს საპარლამენტო არჩევნების შედეგები და პროტესტის ნიშნად რუსთაველის პროსპექტზე კარვებიც გაშალეს რამდენიმე თვე. ქვეყანა კიდევ ნახევარ წელზე მეტი მათ დაშოშმინებას მოუნდა. საბოლოოდ კი კომისიამ დაადგინა, რომ საპარლამენტო არჩევნებში არავითარ გაყალბებას ადგილი არ ჰქონია, თუმცა ოპოზიციამ შესანიშნავად იცოდა, რომ ეს ასეც იყო. ახლა კიდევ ამ არეულობების დროს „ოცნების“ ოფისში აპირებდა შეჭრას და დიდი შეხლა-შემოხლის მიუხედავად, მაინც ვერაფერს გახდა. ეტყობა, დაჭერამდე თავის ციხე-სიმაგრეში რომ იყო გამაგრებული და იქიდან აიყვანეს, ბოღმა დღემდე არ განელებია.

ქვეყანაში ზედმეტად გააქტიურდნენ ლგბტ-ს წარმომადგენლები. მართალია, ადამიანის ცნობიერებაში ბევრი რამ შეიცვალა და მათ სრულიად არავინ ერჩის, მაგრამ ქვეყანაში იქმნება სხვადასხვა ორგანიზაციები, საერთაშორისო „დონორების“ დახმარებით, რომლებიც ზრუნავენ მხოლოდ თავიანთი უფლებების დაცვაზე, ძალაუფლებასა და სიმდიდრეზე. მათი მიზანია უმცირესობა უმრავლესობად გადაიქცეს. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს დასავლეთის ქვეყნებში. საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც ჩანს, ძალიან მსუყედ აფინანსებენ ჩვენთან მოქმედ ენჯეოებს და ისინიც აქციას აქციაზე მართავენ. მსოფლიო მასშტაბით არიან ძალები, რომლებსაც თავიანთი მერკანტილური მოსაზრებებით მოსახლეობის დიდ მასებზე ზეგავლენის მოპოვების მიზნით აწყობთ ჰომოსექსუალებისა და სხვა არატრადიციული სქესობრივი ურთიერთობების აფიშირება. ამ არატრადიციულ ურთიერთობებს მე ვუწოდებ ბუნების შეცდომას. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ერთხელაც იქნება ემბრიონის ტესტირების გზით დადგინდება სექსუალური ორიენტაციის მარკერი და ნაყოფის განვითარების მუცლად ყოფნის პერიოდში შესაძლებელი გახდება აბორტი.

ჰომოსექსუალიზმი ანუ არაბუნებრივი სქესობრივი ლტოლვა თავისივე სქესის პირისადმი ხშირად შეძენილია. ეს უმეტესად მაშინ ხდება, როდესაც აღვირახსნილ სქესობრივ ცხოვრებას ეწევიან და თავგადასავლებს ეძებენ. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ხშირი შემთხვევა არის აშკარა ავადმყოფობა, რომელსაც უნდა ვუმკურნალოთ, თუმცაღა, ამას კატეგორიულად არ აღიარებენ ისინი, ვინც მასებზე განუსაზღვრელი ძალაუფლების მოპოვებას ცდილობს.

ჰომოსექსუალობა რომ ავადმყოფობაც არის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მსხვილ ქალაქებში ჰომოსექსუალების შეფარდება სოფელ ადგილებთან შედარებით არის 9:1-თან. 1000 ცნობილი ადამიანის ბიოგრაფიის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ჰომოსექსუალებისა და ბისექსუალების წილი განსაკუთრებით მაღალია პოეტებში – 24 პროცენტი; მწერლებში – 21 პროცენტი, მხატვრებსა და მუსიკოსებს შორის – 15 პროცენტი (Девид Майерс. Психология, დევიდ მაიერსი ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგია. მისი ამ წიგნით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 1000-ზე მეტ უნივერსიტეტსა და კოლეჯში სწავლობენ ფსიქოლოგიას). როგორც ვიცით, ჰომოსექსუალიზმი ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ავადმყოფობის გრაფიდან ამოიღო, მაგრამ ყველა სპეციალისტი როდი ეთანხმება ასეთ გადაწყვეტილებას. ამ მოსაზრებას საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს.

* * *

წლების განმავლობაში ტელევიზიების უმრავლესობაში მუდმივი აგრესიაა, ებრძვიან სახელმწიფოს და ეკლესიას, თესავენ იდეოლოგიურ აგრესიას საკუთარი ქვეყნის მიმართ. იმის მაგივრად, რომ დავიცვათ ის ღირებულებები, რაც ჩვენს იდენტობას უზრუნველყოფს, გარკვეული პოლიტიკური ძალები საკუთარი ტელევიზიებით მუდმივად ცდილობენ არეულობის შემოტანას. ჩვენი საინფორმაციო სივრცე მთლიანად გაჯერებულია სკანდალური ამბებით, უნიჭოდ დადგმული სიყალბით!.

ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სქესით, სიმაღლით, წონით, ნიჭით, რაიმესადმი სიყვარულის მიდრეკილებით, კონსტიტუციით (ორგანიზმის საერთო აგებულებით), ქონებით, შესახედაობით და სხვა უამრავი ნიშნით. მაგრამ ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მათ გამოხატვის სხვადასხვა ხარისხი უნდა ჰქონდეთ. კაცობრიობის ისტორიაში გამოხატვის საშუალების უქონლობის გამო მსოფლიო კულტურული ღირებულების უამრავი ძეგლი ვერ შეიქმნა. რად ღირს თუნდაც ბეწვზე გადარჩენილი ქართული ხალხური პოეზიის უავტორო ნიმუშები.

განათლებამ და ადამიანური ღირსებისადმი პატივისცემის აუცილებლობამ განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარსა და 21-ე საუკუნეში ბევრგან თან მოიტანა გამოხატვის თავისუფლების აუცილებლობა, რაც კაცობრიობის დიდი მონაპოვარია და ყველამ პატივი უნდა სცეს ამ თავისუფლებას. სადაც ძალადობაა, იქ ღირებული ძნელად თუ შეიქმნება, იქ ადამიანის სულიერი მოთხოვნილებები დაბეჩავებულია.

მაგრამ ადამიანები სრულიად თავისუფლები და დამოუკიდებლები ვერასოდეს იქნებიან თავიანთ ქცევებში, რადგან ეს იქნებოდა სრული ქაოსი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გამოხატვის უაღრესად ფასეულ კატეგორიას თან ახლავს უფლებები და მოვალეობები, რომ თავისუფლება ადამიანს ეძლევა არა როგორც საჩუქარი, არამედ როგორც უფლება და მოვალეობა. ჯერ კიდევ რომაელი დიდი მოაზროვნის, იმპერატორ მარკუს ავრელიუსის აზრით, ისევე როგორც შენ საზოგადოების წევრი ხარ და მისი ნაწილი, ყოველი შენი მოქმედებაც საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი უნდა იყოს, რადგან შენი ნებისმიერი მოქმედება, რომელიც უმიზეზოდ თუ რისამე მეშვეობით არ ამტკიცებს საზოგადო სიკეთეს, ანაწევრებს ცხოვრების მთლიანობას, არღვევს მის ერთიანობას და შინააშლილობას უწყობს ხელს. ვაჟა-ფშაველას აზრით, „თავისუფლება იმას არ გვიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დავაკმაყოფილოთ წინდაუხედავად“. ამიტომ ნურას უკაცრავად, თუ 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ აქციას, რომელიც აღვირახსნილობის, უზნეობის, ერის ზნეობრივი სიმაღლის წაშლის დაკანონებას ცდილობდა, ხალხმა საკადრისი პასუხი გასცა.

უნდა მივმართო ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურს, ბაია პატარაიას და სხვებს, როდესაც გამოდიხართ და გავეშებული იცავთ აქციაზე პლაკატზე წარწერილ მოთხოვნას „თავსიუფლება ფუჩუს“, ვინმე ერევა თქვენს სქესობრივ ცხოვრებაში, ვინმე ხელს გიშლით? ალბათ, არავინ და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, მაგრამ დაფიქრებულხართ მაინც, რას სჩადიხართ ჩვენი მომავალი თაობის წინაშე? ან რატომ გგონიათ, რომ „ახლა უკვე ფატმანების დროა“?! მთავარი ისაა, რომ თქვენ ეროვნული, ადამიანური, ზნეობრივი არაფერი გცხიათ. მსუქანი ჯამაგირის მოყვარულებს, ღმერთმა იცის, ვინ გაფინანსებთ და ვის დავალებებს ასრულებთ, 30 თეთრად გაყიდულო მანქურთეებო!.

მეტად აგრესიულად იქცეოდნენ თვით ტელევიზიის მესვეურები. „გლავკანალის“ დირექტორი ნიკა გვარამია საჯაროდ აგინებდა მისთვის იდეურად მიუღებელ მოქალაქეებს, ფიზიკურად ეხებოდა ქალბატონებს; ყოველგვარ ზნეობრივ კოდექსს არღვევდა სატელევიზიო გადაცემების დროს ვახო სანაიაც, რომელიც თავის მიწვეულ სტუმართ მთელი გადაცემის განმავლობაში გიჟს უწოდებდა,. რაც შეეხება ინგა გრიგოლიას, ეს დედაკაცი არის სანიმუშო მაგალითი იმისა, თუ როგორი არ უნდა იყოს ჟურნალისტი. ინგას თუ დაავიწყდა, ჩვენ შევახსენებთ, რომ 2009 წელს ლონდონში, ენის სასწავლებლად კარგი დაფინანსებით წასულს, როგორ დაურეკა გიორგი თარგამაძემ და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა შესთავაზა. ინგაც, რის სწავლაო, და ხბოს კუნტრუშით გამოქანდა თბილისში. ეს ამჩატებული, გონებით მრუში, 40 წლის ჟურნალისტი ხმამაღლა გაიძახოდა: ჩვენ დავამთავრებთ ამ ხელისუფლებასო, ახლა კიდევ იმ ხელისუფლების დაბრუნებისთვის შუაზე იხევა. მას არც ადრე ეშლებოდა ენის ტარტალი, მაგრამ ახლა ნამეტანი ააბრუნა წისქვილი, თანაც „რა გაიზარდა, გაივსო“, გაივსო სიმდიდრითაც. დღეს საქართველოში არ არსებობს არც ერთი მეცნიერი, აკადემიკოსი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პრესის მუშაკი, ინგას თვიური ხელფასი მასზე 10-ჯერ მეტი არ ჰქონდეს!!!

სამწუხაროდ, „თბილისი პრაიდის“ ჩატარებისას სცემეს ჟურნალისტებსა და ოპერატორებს. მათ შორის მწვავედ იყო ნაცემი „ტვ პირველის“ ოპერატორი ალექსანდრე ლაშქარავა, რომელიც საავადმყოფოში მოათავსეს, უმკურნალეს და მესამე დღეს სახლში გაწერეს. 10 ივლისს ლაშქარავა უეცრად გარდაიცვალა. მაშინვე ნაციონალებმა და უპირველესად კი „ტვ პირველის“ ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ ხელი ხელისუფლებისკენ გაიშვირეს. ამავე დროს დაადანაშაულეს პრემიერ-მინისტრი მოძალადე ჯგუფების წახალისებაში. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ისინი შეგნებულად ეწევიან პოლიტიკურ სპეკულაციას. სინამდვილეში რევანშისტული შეთქმულების უკან, როგორც ყოველთვის, იდგა მაოხრებელი გზირი სააკაშვილი და მისი რადიკალური ძალები, რომლებსაც ისევ ძალადობრივი გზით უნდათ მოსვლა ხელისუფლებაში. იმდენად დაბრმავებულები არიან ამ ერთადერთი სურვილით, რომ გლოვაშიც კი, მართლაც, პოლიტიკურ პერფორმანსს დგამენ, რის შესახებაც თავად აღნიშნეს.

ეს არაერთხელ ნაცადი ხერხია ოპოზიციური ტელევიზიებისა და განსაკუთრებით ინგა გრიგოლიასთვის, რომელიც თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ატრიალებდა „ტვ პირველზე“ ახალგაზრდა გოგონას თვითმკვლელობისა და ასევე ახალგაზრდა ფეხბურთელის მკვლელობის სავარაუდო ვერსიებს, რათა როგორმე სახელმწიფო სისტემა დაედანაშაულებინა. ახალგაზრდა ოპერატორის სიკვდილი, რა თქმა უნდა, სააკაშვილისა და ნაციონალების კისერზეა, რომლებმაც მოაწყვეს გეი-აღლუმი ჩვენი ხალხის საწინააღმდეგოდ. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის განცხადებას გეი-აღლუმის შესახებ, მას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა მისი ჩატარება, რადგან ის სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეს შეიცავდა და არავითარი პოლიციის და მოძალადე ჯგუფების წახალისების მცდელობა მის განცხადებაში არ ჩანს. ეს მხოლოდ ინგა გრიგოლიას მორიგი ფანდია. რაც შეეხება ჟურნალისტებისა და ოპერატორების ცემას, არის გოინივრული ვერსია, რომ მავნებელმა სააკაშვილმა აქციაზე ზონდერბრიგადა შეაგზავნა, რომლებიც მიზანმიმართულად მოქმედებდა.

ბოლო დღეებში სულსწრაფი სააკაშვილი არიგებს ნარჩენ ნაციონალებს და ოპოზიციური ტელევიზიების მესვეურებს, ბოლომდე „მიაწვნენ“ პოლიციელებს. ინგა გრიგოლია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაჰყვირის ტელეეკრანიდან და რუსთაველზე „დაგეგმილი“ მიტინგიდან: „მე ერთი ადამიანი ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ პასუხი აგოს ყველამ... შე, მოძალადე, სახეწაშლილო პრემიერო!, მასხარა პრემიერო! კომიკურო პრემიერო! შენ ვის დაემუქრე, მედიას დაემუქრე? თუ მაგარი ბიჭი ხარ, მოდი და დამიჭირე, შენ ვის გაუბედე, ირაკლი ღარიბაშვილო, ვის დაემუქრე!“... აქ ყოველგვარი წითელი ხაზი გადალახულია და თავაშვებულობასთან, ჩვეულებრივ პროვინციულ ქაჯობასთან გვაქვს საქმე.

ნიკა გვარამია, ეს ძმაცუა (ძველი ქართული სიტყვაა და ვერაგს ნიშნავს) კაცი კიდევ გვმოძღვრავს: „ავღანეთის ომშიც არ დაშავებულან ჟურნალისტები“. ისემც ცხვირი დაგიმშვენდეს, მართლაც სატელევიზიო ჯოჯოხეთის მოციქულო!.. ეკუნია კვესიტაძე კიდევ ყველას სამაგიეროს გადახდას ჰპირდება: „ყველას ვიპოვით, ყველას გავშიფრავთ, ყველას მოვთხოვთ პასუხს“.

ყოჩაღ ქართველო ნაციონალებო! თინა ბოკუჩავა, არც მეტი, არც ნაკლები, ისტერიულად გაჰყვირის: „გადადგეს მკვლელი ირაკლი ღარიბაშვილი. ეს მარტო „ჩემი მოთხოვნა კი არ არის, არამედ მთელი ხალხის მოთხოვნაა“. როგორც ჩანს, მართლაც ცუდადაა საქმე, ბოკუჩავა რომ მთელი ხალხის სახელით დაიწყებს ლაპარაკს...

როგორ შეიძლება ქვეყნის ბედი, მისი მომავლის საკითხი უტიფარი არამზადების – კვესიტაძეების, დეკანოიძეების, ხოშტარიების, მშვილდაძეების, ჟორჟოლიანების, სანაიების და სხვათა მსგავსების გადასაწყვეტი იყოს. როგორც ჩანს, კარგად არ არის საქმე. დროა, მთავრობამაც გადამწყვეტი ღონისძიებები გაატაროს.

გოეთეს სიტყვებია: „დროს გაუფრთხილდი! იგი ისე სწრაფად მოფრინავს, რომ თუ წესად არ შემოვიღებთ მკაცრ დისციპლინას, ვერას გავხდებით“ („ფაუსტი“).

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲗᲝᲗᲐᲫᲔ.

ხალხი ბრძოლით კი არ დაიღალა და აქციებზე ამის გამო არ გადის, უბრალოდ, „ნაცმოძრაობისთვის“ ბრძოლა არ უნდა!

ოპოზიციის **რადიკალური ნაწილი მუდმივად ხალხის ისტერიკაში ჩაგდებას ცდილობს და ამისთვის მედიასაშუალებებს კარგად იყენებს. ზუსტად ასე ხდება უკვე ბოლო რამდენიმე დღეა, როცა 5 ივლისს ჟურნალისტებზე თავდასხმის შემდეგ სახლში „ტვ პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარაშვილი გარდაცვლილი იპოვეს. ოპოზიცია და მასთან დაკავშირებული მედია ტრაგედიის გამოყენებას შეეცადა და საზოგადოებას ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა. მოსახლეობის ნაწილი რუსთაველის გამზირზე ნამდვილად მივიდა, მაგრამ როგორც კი დაინახეს, რომ ამ ტრაგედიის გამოყენებას ოპოზიცია პოლიტიკური მიზნებისთვის ცდილობდა, მათგან დისტანცირება დაიწყეს. მოსახლეობამ დაინახა, რომ ქვეყანაში ჟურნალისტებმა პოლიტიკური მუხტის აწევა საკუთარ თავზე აიღეს, რადგან ოპოზიციურმა პარტიებმა არა ერთი მცდელობის მიუხედავად, ეს ვერ შეძლეს. თუმცა აქაც შეცდნენ, რადგან საზოგადოებას ქუჩაში დგომა და ბრძოლა „ნაციონალური მოძრაობის“ უკან დასაბრუნებლად არ უნდა.**

მმართველი პარტია მედიასთან ბოიკოტის რეჟიმში გადავიდა. ბოიკოტი „ოცნებამ“ „მთავარ არხს“, „ტვ პირველს“, „ფორმულას“ და „კავკასიას“ გამოუცხადა. მათი თქმით, ისინი არ გააკეთებენ კომენტარს მედიასთან, რომლებიც კონკრეტული პარტიის ინტერესებს ემსახურება.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** აცხადებს, რომ ლექსო ლაშქარავას ტრაგიკულ გარდაცვალებას საზოგადოება განიცდის და კითხვებს სვამს, მაგრამ იმასაც კარგად ხედავენ, ტრაგედიის გამოყენებავის და რატომ უნდა. ამიტომ არის, რომ დავით სარალიძის მკვლელობის მსგავსად ახლაც არ უნდათ ტრაგედიის გამოყენება ვიღაცამ პოლიტიკური მიზნებისთვის სცადოს. აქციის პირველ დღეს მივიდნენ, თავისი დამოკიდებულება გამოხატეს, მაგრამ როგორც კი დაინახეს, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური კონტექსტი ეძლევა, მისგან დისტანცირება დაიწყეს.

„საზოგადოებას, რა თქმა უნდა, ოპერატორის გარდაცვალებაზე კითხვები აქვს და პროტესტსაც გამოხატავს იმაზე, რაც 5 ივლისს მოხდა. თუმცა ვერც ოპოზიციამ და ვერც მათთან აფილირებულმა მედიამ ვერ ისწავლა, რომ უფლებების დაცვაზე და ძალადობაზე ის ადამიანები არ უნდა ალაპარაკონ, რომლებიც წლების განმავლობაში ხალხს ქუჩაში ხვერტდნენ, აწამებდნენ და კლავდნენ. არავის დავიწყებია მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელიც „ორ გვამს“ ითხოვდა. ამიტომაც არის, რომ მათ დაძახილზე ხალხი ქუჩაში არ გადის. არა იმიტომ, რომ ბრძოლა არ უნდათ, რამეს არ აპროტესტებენ და ეს მთავრობა გულზე ეხატებათ, არა, მის შემცვლელს ვერ ხედავენ.

ჩვენს მოსახლეობას ბრძოლა „ნაციონალების“ უკან ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის არ უნდა. თუკი გამოჩნდება მესამე ძალა, რომლის მიმართაც საზოგადოებას ნდობა ექნება, რა თქმა უნდა, გამოვა. თუკი დარწმუნდებიან, რომ „ნაციონალები“ უკან, ხელისუფლებაში არ დაბრუნდებიან და ამის საფრთხეს არ დაინახავენ, ისევ იბრძოლებენ. ამას კი ოპოზიცია ვერ ხვდება. ისევ და ისევ, იგივე პოლიტიკური ლიდერებით ხალხს გარეთ გამოსვლისკენ და რევოლუციისკენ მოუწოდებენ. ჰგონიათ, რომ ჩვენს მოსახლეობას ჭკუა არა აქვს. ქართველ ხალხს თევზის როლში ყოფნა არ უყვარს, როცა ვიღაცა მათზე ანკესით ნადირობს და მათ გამოყენებას ცდილობს. ამას კი ჩვენი პოლიტიკოსები ვერ მიხვდნენ“, — ამბობს საყვარელიძე.

ანალიტიკოსი **ლევან ნიკოლეიშვილი** ამბობს, რომ ეს მოვლენები და ქვეყანაში სიტუაციის დაძაბვა 5 ივლისს არ დაწყებულა. ამისთვის მზადება უფრო ადრე დაიწყო. ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ როგორც კი, ქვეყანაში, ასე თუ ისე, პროცესები კარგი დინამიკისკენ იძვრება, ოპოზიცია პოლიტიკური ტემპერატურის აწევას იწყებს და ჩასაფრებულები რადიკალური ჯგუფები ქვეყნის არევას იწყებენ. ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოვლენებმა ისევ ქუჩაში გადაინაცვლოს. ანალიტიკოსი იხსენებს გუბაზ სანიკიძის და ინგა გრიგოლიას ეთერს, სადაც პოლიტიკოსმა თქვა, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია ვიღაცა უნდა მომკვდარიყო და ეს ინფორმაცია, მოსკოვიდან მიიღო.

— ეს ადამიანები ჟურნალისტები აღარ არიან, რადგან მათ თავიანთი რადიკალური მოწოდებებით პოლიტიკაში შესვლა დაიწყეს. ვნახეთ, რომ პირდაპირ მედიის წარმომადგენლები პრემიერ ღარიბაშვილის თანამდებობიდან გადადგომას ულტიმატუმის ენით ითხოვენ და ამბობენ, რომ ამას პირადად თავად ჩაიბარებენ. რაც არ უნდა მოგვწონდეს, ან არ უნდა მოგვწონდეს, ისინი მედიას უკვე შორდებიან. ეს ადამიანები პირდაპირ პოლიტიკური აქტივი ხდებიან და რადიკალური დაჯგუფებების მსგავსად ქვეყანაში დაძაბულობას ქმნიან.

მისივე თქმით, ხალხი კარგად ხედავს, რადიკალური მედია თავიანთი ბატონების დავალებას როგორ ასრულებს და საზოგადოებას დეზინფორმაციით და ფეიკნიუსებით წამლავენ. დაინახეს პარლამენტში შევარდნილი მედია მენეჯერები, რომლებიც როგორც პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ, ასევე პოლიტიკური დავალებებით მოქმედებენ. **„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ნახა, რომ მათ ხალხი ქუჩაში არ მიჰყვება და ახლა წინ მედია დაიყენეს, რომელთა მეშვეობითაც ტემპერატურის აწევა უნდათ: ამათ ჰგონიათ, ხალხი ანალიზს ვერ აკეთებს და ფაქტებს ერთმანეთთან ვერ აკავშირებს. ამიტომაც ხალხი არც შაბათს მივიდა აქციაზე და რაც ჩაიფიქრეს, არც ის გამოუვიდათ...**

ლიკა ბერიკაშვილი

ღარიბაშვილის და კალაძის მეჯოქები მიწასთან გასწორდნენ!

ლგბტ თემის წარმომადგენლები საკუთარი ოჯახის წევრებსაც უმალავენ საკუთარ ორიენტაციას და რატომ აიძულებენ მათ ამის გამომგზეურებას?

ოპოზიცია ირწმუნება, რომ 5 ივლისს „პრაიდთან“ დაკავშირებული მოვლენების კვალდაკვალ, „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო გზავნილი გაუგზავნა ელექტორატს, რომ უმცირესობების უფლებები მათთვის ფასეული არაა. ამ აზრს იზიარებენ პოლიტოლოგებიც.

მმართველმა გუნდმა ძალიან კარგად გათვალა, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ლგბტ-ეობა მიუღებელი იქნებოდა, ამიტომაც ჯერ კობახიძე, შემდეგ ღარიბაშვილი და კალაძე „პრაიდის“ მონაწილეებს თავშეკავებისკენ მოუწოდებდნენ და შეახსენებდნენ, რომ მათი გამოხატვის თავისუფლებას სხვების უფლებები არ უნდა შეელახა.

პოლიტოლოგ **გია ნოდიას** შეფასებით, სწორედ რადიკალურ ჯგუფებს განიხილავს „ოცნება“ არჩევნებზე საკვანძო მოკავშირედ. მისი თქმით, „ეს საკითხიც არჩევნებს უკავშირდება, ანუ სასოწარკვეთას ხელისუფლების მხრიდან. იმ ხალხს, ვინც სცემა ჟურნალისტები, ან შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ აცემინა ისინი, ხელისუფლება განიხილავს, როგორც საკვანძო მოკავშირეებს ისევე, როგორც გარკვეულ საეკლესიო ჯგუფებს. ამიტომ ხელისუფლებამ ვერ გაბედა მოკავშირეების წინააღმდეგ სერიოზული ნაბიჯების გადადგმა“.

ანალიტიკოსი **გიორგი რუხაძეც** მიიჩნევს, რომ „პრაიდის“ წინააღმდეგ გალაშქრება „ოცნების“ საარჩევნო კამპანიის დასაწყისია, რომელიც მმართველმა გუნდმა საარჩევნო საკითხად გამოიყენა. გიორგი რუხაძე იმედოვნებს, რომ კახა კუჭავას და კახა კალაძის ღირებულებები ამისგან განსხვავებულია.

„ყველამ დავინახეთ ღარიბაშვილის და კალაძის განცხადებები, როდესაც ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ უმცირესობების ამ მარშის უკან ოპოზიცია დგას. მარტივი გათვლაა — საქართველოში კონსერვატიული საზოგადოება მტრულად არის განწყობილი სექსუალური უმცირესობების მიმართ და მათ უნდათ, ოპოზიციის მარგინალიზაცია მოახდინონ“, — მიიჩნევს გიორგი რუხაძე.

რა დივიდენდები მიიღო მმართველმა გუნდმა ამ დღეებში, როცა მათი და საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის აზრი ლგბტ თემთან დაკავშირებით სრულ თანხვედრაში აღმოჩნდა?!

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი **ნანა კაკაბაძე** მიიჩნევს, რომ, რა თქმა უნდა, ღარიბაშვილის და კალაძის, მთლიანობაში, მმართველი გუნდის რეიტინგი აიწევდა 5 ივლისის შემდეგ, რადგან ამ ქვეყანაში მოსახლეობის 99%-ზე მეტისთვის (და ამაში მარტო მართლმადიდებლები არ იგულისხმება, არამედ ყველა სხვა კონფესიის წარმომადგენელიც) მიუღებელია ლგბტ ორგანიზაციების პროპაგანდა.

„არავითარ შემთხვევაში, ეს არ ნიშნავს ლგბტ თემის უფლებების შელახვას. ამ ჯგუფის წარმომადგენლების აბსოლუტურ უმრავლესობას არაფერში არ სჭირდება ის, რომ ვიღაცა მათი სახელით ფულს აკეთებდეს გინდა დასავლეთიდან, გინდა ჩრდილოეთიდან. ჩემთვის გაუგებარია, რომელი კუთხიდან ღებულობენ ფულს და ფინანსდებიან დღეს ეს ორგანიზაციები, რომლებიც, პირდაპირ გეუბნებით, კი არ იცავენ ლგბტ ჯგუფის ინტერესებს, არამედ არღვევენ მათ უფლებებს, როდესაც მათ პირად ცხოვრებას საჯაროდ გამოამზეურებენ და აიძულებენ ამ ჯგუფის წარმომადგენლებს პირადი ცხოვრება გამოფინონ და თქვან, მე ვარ მამათმავალი, მე ვარ ლესბოსელი. ვინ ეკითხებათ ამ ორგანიზაციებს, რომ ისინი ეხებიან სხვა ადამიანთა პირად ცხოვრებას? ლგბტ პირებს თავად რომ ჰქონდეთ ამის სურვილი, როგორმე ამ დაფინანსებული ჯგუფების აქტივობის გარეშეც მოახდენდნენ ამის აფიშირებას“, — აცხადებს ნანა კაკაბაძე.

ამასთან, განმარტავს, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლები საკუთარი ოჯახის წევრებსაც უმალავენ საკუთარ ორიენტაციას და არ სურთ ამის პროპაგანდა. ამიტომ, თუ ადამიანს არ სურს ამის აფიშირება, რატომ აიძულებენ, მოახდინონ ამის გამომზეურება? ეს ხომ არ არის ლგბტ პირთა უფლებების დაცვა, ეს არის საკუთარი ბიზნესისთვის ამ ადამიანების მიზანმიმართული გამოყენება.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნების“, კონკრეტულად კი ღარიბაშვილის, კალაძის, კობახიძის რეიტინგები 5 ივლისის მოვლენების შემდეგ აიწია იქიდან გამომდინარე, რომ დაიწია და მიწასთან გასწორდა ლიბერასტული მიმართულების 15 პარტიის პოლიტიკური რეიტინგი.

„ღარიბაშვილის, კალაძის, „ქართული ოცნების“ მეტოქეები ვინც არიან, მიწასთან არიან გასწორებულნი ამ მოვლენების შემდეგ. კონსტიტუციაში ქორწინება განისაზღვრება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, სწორედ „ქართული ოცნების“ ინიციატივით მოხდა ამ ჩანაწერის კანონმდებლობაში შეტანა, ღარიბაშვილის პირველი პრემიერობის დროს დაიწყო ამაზე საუბარი, მოგვიანებით ახალი რედაქცია ღარიბაშვილის შემდგომ პერიოდში მივიღეთ, რა თქმა უნდა, ამ საქმეში ღარიბაშვილის როლი მნიშვნელოვანია და ის განასახიერებს ჩვენი საზოგადოების კონსერვატიულ ნაწილს. მე არ ვიცი, ხმების რა რაოდენობას მიიღებენ არჩევნებში ევროპატრიოტული ძალები, მაგრამ დაპირისპირების ძირითადი ხაზი გავა ისევ „ქართულ ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის. დღეს აინტერესებთ, ვინ დარჩა მომხდარით მოგებული — რუსეთი? სააკაშვილი? ვერ ვიტყვი, რომ რუსეთი ამით მოგებულია, მაგრამ ერთი რამ მოხდა, ქართველი ხალხის უმრავლესობის თვალში ლიბერასტობას მხარდაჭერა არანაირად არ ექნება. მეორე დასკვნა ის არის, რომ ამ სტიქიას მართვა სჭირდება. ქართველი ერის სინდისიერი ნაწილის პირდაპირი ვალია, კონსოლიდაცია მოახდინოს, რადგან ამ ენერგიას სწორი მიმართულებით წაყვანა სჭირდება. ეს ენერგია ეროვნული საქმეების კეთებისკენ უნდა წარიმართოს და პოზიტიური მიმართულებით განვითარდეს“, — აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა.

მანანა ნოზაძე

აკადემიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი

მიმდინარე წლის 16 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შედგა ურთიერთგაგების მემორანდუმზე ხელმოწერა აკადემიასა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მეცნიერული მიღწევების შესახებ საზოგადოების ადეკვატური ინფორმირებისა და საზოგადოებრივი განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობის საქმეში თანამშრომლობის შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ **გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი, სატელევიზიო არხების ხელმძღვანელი რუსუდან მანჯგალაძე და ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის დირექტორი გიორგი გვიმრაძე.**

აკადემიის მხრიდან სტუმრებს უმასპინძლეს **პრეზიდენტმა გიორგი კვესიტაძემ, აკადემიკოს-მდივანმა რამაზ ხუროძემ, ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა და პრეზიდიუმის წევრებმა.** შეხვედრა გახსნა აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ და საზოგადოებრივი მაუწყებლების წარმომადგენლებს გააცნო აკადემიის სპეციფიკა, მისი სამეცნიერო განყოფილებები და სტრუქტურა, რის შემდგომაც, საზოგადოებრივი მაუწყებლის არსზე, სტრატეგიასა და მიზნებზე საუბარი განაგრძო თინათინ ბერძენიშვილმა. დისკუსიაში ჩაებნენ აკადემიკოსები: როინ მეტრეველი, რამაზ ხუროძე, რამაზ ხეცურიანი, ელიზბარ ჯაველიძე, თინა სადუნიშვილი და გია ჯაფარიძე. ორივე მხარემ აღნიშნა, რომ ეს პროექტი საჭირო და აუცილებელია ქვეყნისთვის, მისი განვითარებისა და მომავლისთვის.

როგორც მემორანდუმშია აღნიშნული, მისი მიზანია ქვეყნის მეცნიერული მიღწევების დამაჯერებლად წარმოჩენა, ასევე მეცნიერული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით გამართული ღონისძიებების, სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში განხორციელებული რეფორმების, აგრეთვე ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში მეცნიერული კვლევის შედეგების წარმატებით დანერგვის ამსახველი მასალების, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტების საჯარო განხილვების წარმოჩენის და ფართო წრეებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, შესაბამისი ინფორმაციის გაცვლა და მათი სრულყოფილი გაშუქება, საინფორმაციო მხარდაჭერა.

მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს, მეცნიერებისა და განათლების საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტების მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და წამყვან სასწავლო- სამეცნიერო დაწესებულებებში საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერებთან სრულფასოვანი კონსულტაციების გავლას, რათა ხელი შეეწყოს მედიაში მეცნიერების საკითხების კვალიფიციურ გაშუქებას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი, თავისი სარედაქციო დამოუკიდებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს თავის პლატფორმაზე შესაბამისი მიმართულების და ფორმატის პროდუქციაში მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წარმომადგენელთა ჩართულობას და მონაწილეობას.

შეხვედრის დასასრულ, აკადემიის ხელმძღვანელებმა საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებს საჩუქრად აკადემიის მიერ გამოცემული წიგნები გადასცეს.

ნათია ვადაჭკორია,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი

◎ წმინდა საქმე

სიტყვა - გამაჯანსაღებელი!

90 წელი ხალხის სამსახურში

90 წლის წინათ, 1931 წლის 20 ივლისს, გამოვიდა ბორჯომის რაიონული გაზეთ „ბორჯომის“ პირველი ნომერი.

განვლილი 90 წელი ჟურნალისტური ენთუზიაზმის, შეიძლება თქმა, ჟურნალისტური გმირობის ტოლფასი მოვლენაა რაიონის ცხოვრებაში. მრავალი დაბრკოლების, პრობლემების, მატერიალური სიდუხჭირის და სხვა სიძნელეების მიუხედავად, გაზეთის ყველა თაობის ჟურნალისტები ახერხებდნენ, პირნათელი ყოფილიყვნენ თავიანთი მრავალათასიანი ერთგული მკითხველის წინაშე.

გაზეთს წლების განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდნენ რედაქტორები — დიმიტრი შალუტაშვილი, გრიგოლ ლომიძე, დავით ჭიჭილეიშვილი, ოთარ სტაჟაძე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჟურნალისტთა ადგილობრივი კადრების აღზრდის საქმეში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დღეს ადგილობრივი ჟურნალისტები რესპუბლიკურ პრესაშიც აქტიურად თანამშრომლობენ და გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, ერთგული და უკომპრომისო დამოკიდებულებით საზოგადოებაში არსებული უამრავი პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაზეთის ძირითადი პრინციპი — არ მოწყდეს ცხოვრებას, იყოს მკითხველთა ერთგული მეგობარი და თანამგრძნობი, დღესაც აქტუალურია და ამ პრინციპებით აგრძელებს მუშაობას. ზრუნავს მკითხველამდე მიიტანოს მართალი, ობიექტური ინფორმაცია, ერთგულად ემსახუროს სინამდვილეს, ამხილოს ნაკლოვანებები, მკითხველს აუწყოს ყოველდღიური ცხოვრების და შრომის პირუთვნელი მაგალითები. გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა და ქვეყნდება პრობლემური სტატიები, აქტუალური ინტერვიუები, მკითხველთა საქმიანი წერილები, შენიშვნები, წინადადებები.

გაზეთის რედაქცია დიდ ყურადღებას უთმობს რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, საკურორტო მეურნეობის, ტურიზმის, კულტურის და განათლების დარგებში არსებულ მწვავე და აქტუალურ საკითხებს. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მოსახლეობის მორალურ, ზნეობრივ თუ ესთეტიკური აღზრდის პრობლემებს, ქართული ენის სიწმინდის, ეთნოგრაფიის, მხარის ისტორიის, ეკოლოგიის, დემოგრაფიის და ჩვენი ცხოვრების სხვა არანაკლებ აქტუალური საკითხების წინ წამოწევას.

გაზეთი „ბორჯომი“ მტკიცედ დგას საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბრძოლის წინა ხაზზე. რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი თავის ძირითად ამოცანად მიიჩნევს იყოს საზოგადოებრივი აზრის ობიექტური და პრინციპული გამომხატველი. მზადაა, ითანამშრომლოს პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ფორმირებებთან, რომლებიც აქტიურად იღვწიან დამოუკიდებელი, დემოკრატიული და თავისუფალი საქართველოს ჩამოყალიბებისათვის.

რედაქციის მცირერიცხოვანი კოლექტივი კარგად გრძნობს, რომ მიღწეული ზღვარი არაა და მომავალში ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.თუ გულახდილად ვიტყვით, ჟურნალისტები ვალში ვართ ჩვენი მკითხველების წინაშე, გვმართებს მეტი შემართება, პრინციპულობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, რათა კიდევ უფრო საინტერესო და მებრძოლი გახდეს გაზეთის თითოეული პუბლიკაცია.

უკანასკნელი წლები რაიონული გაზეთებისათვის მეტად რთული გამოდგა. მძიმე, თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩვენი რედაქციაც, რომლის მცირერიცხოვანი შემოქმედებითი კოლექტივი ყოველგვარი ფინანსური დახმარებისა და თანადგომის გარეშე დარჩა.

რა დროს იუბილეაო, ჩვენს გაჭირვებულ ყოფაში იტყვის მავანი და შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ ოპონენტთა გასაგებად ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციას, ჟურნალისტებს, მის ერთგულ მკითხველებს ეზეიმებათ და მას ღირსეულად აღნიშნავენ. ზეიმის საფუძველს კი ის იძლევა, რომ გერის როლში მყოფმა რაიონის ჟურნალისტებმა შეძლეს საერთო ენის გამონახვა რაიონის ხელმძღვანელობასთან. ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულების გაფორმებით შევძელით გაზეთის გადარჩენა. დღეს გაზეთი „ბორჯომი“ კვირაში ერთხელ გამოდის 1300-იანი ტირაჟით და ერთადერთი ბეჭდური ორგანოა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. გაზეთი ძირითადად ბორჯომის მუნიციპალიტეტში ვრცელდება და რედაქციის ფოსტალიონები უზრუნველყოფენ გაზეთის მკითხველამდე მიტანას.

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
ბორჯომის საპატიო მოქალაქე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს ბორჯომელ კოლეგებს რაიონული გაზეთის სახელოვან იუბილეს!

№ 157-158. ორშაბათი-სამშაბათი, 19-20 ივლისი, 2021 წელი.

ფრთხილად!

საქართველოში „ნეოლიბერალიზმის“ ახალი ფაზა,

ანუ აბსოლუტური კაპიტალიზმის საშიში ფაზა მძვინვარებს!

(პირველი გვერდიდან)

— ბატონო პაატა, 3 ათეულ წელზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყანა გაუსაძლის ეკონომიკურ მდგომარეობაშია.

ამ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ვინ უშლის ხელს ან რატომ არ ამოძძედდა თქვენი ხელმძღვანელობით შემუშავებული ქვეყნის სწრაფი განვითარების კონცეფცია — „წყალი — ეროვნული სიმდიდრე“ და პროგრამა — „რეალობად ქცეული ქართული ეკონომიკური სასწაული“?

— ვიდრე ამ კითხვაზე გაგცემდეთ პასუხს, მინდა გავიხსენო და მოვიშველიო ჩემი უფროსი მეგობრის, ცნობილი მეცნიერ-მკვლევარის, მწერლისა და პუბლიცისტის, ეროვნულად მოაზროვნე, მებრძოლი კაცის **აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის ერთ-ერთი ნააზრევი: მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ძნელბედობისას თავისი უფროსი ძმის, ბატონი ბიძინას რჩევა-დარიგებას მაშინდელი ხელისუფლების ლიბერალურ მმართველობასთან დაზავების თაობაზე, ბატონმა ელიზბარმა ასე უპასუხა — „თუ ჩემი სამშობლოს უკეთესი მომავლისა და ერის ღირსეული წინსვლის პროცესების ხელისშემშლელი აღმოჩნდები შენ, ჩემი გამზრდელი უფროსი ძმა, მე შენს ძმობაზე მაშინვე ვიტყვი უარს! და ასე შეაწყვეტინა მოამაგე ძმას იჭვნარევ შიშზე ფიქრი.**

აქვე შეგახსენებთ მსოფლიოში ცნობილი ქართველი ფალავნისა და წარმატებული მეწარმის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, **ბატონი რომან რურუას 1 წლის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ უნიკალურ სტატიას „ვიდრე მქონეთა და არმქონეთა დაპირისპირებამდე მივალთ“,** სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა და შეაჯერა ათასწლეულების წინ ბრძენ ფილოსოფოსთა ნათქვამ-ნააზრევი და შესანიშნავად ჩამოაყალიბა სახელმწიფოს ნგრევის მიზეზები — **„სახელმწიფო უპირველეს ყოვლისა ინგრევა შიგნიდან და ეს ნგრევა უკიდურესად გამდიდრებულ და უღარიბეს ფენათა შორის დაძაბულობის გამწვავებით იწყება“,** ამიტომაც სახელმწიფო რომ არ ჩამოინგრეს, საჭიროა აიკრძალოს მქონეთა და არმქონეთა შორის კაბალური დამოკიდებულება და მათ შორის უნდა დამკვიდრდეს ჰარმონია.

აბსოლუტურად ვეთანხმებით ჩემი უფროსი მეგობრების მიერ გაკეთებულ ზუსტ დასკვნებს და მინდა საზოგადოებას ავუხსნა, თუ რამ გამოიწვია 90-ანი წლების ეკონომიკური ფორმაციული ცვლილებების შედეგად საქართველოში გაბატონებული ლიბერალური დემოკრატიის როგორც პოლიტიკური მმართველობის კრიზისი და მისი რღვევა.

თქვენს მიერ დასაწყისშივე დასმულ შეკითხვაზე ჩემი პასუხი ერთმნიშვნელოვანია, მსოფლიოში დღეს განვითარებული პროცესები მიანიშნებენ, რომ ლიბერალური დემოკრატია, რომელიც შეიქმნა ავტორიტარულ-დიქტატურული რეჟიმის მქონე ქვეყნების საწინააღმდეგოდ, როგორც ბრძოლის იარაღი, ღრმა კრიზისშია შესული და სახეზე გვაქვს ლიბერალური დემოკრატიის როგორც მმართველობისა და წარმომადგენლობითი პოლიტიკური მოდელის კოლაფსი. მაგალითისთვის მოვიყვან ესპანელი სოციოლოგის ემანუელ კასტელის შრომებს, სადაც იგი ასაბუთებს რომ, დღეს არსებული საზოგადოების უნდობლობა, ანუ ხალხის უნდობლობა პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი წარმოშობს ლიბერალური დემოკრატიის კრიზისს. პოლიტიკური ინსტიტუტები ანუ მთავრობები აღარ წარმოადგენენ ხალხს და არ გვევლინებიან მათი ინტერესების დამცველ ძალად, **რაც იწვევს მასების ამბოხს პოლიტიკური წესრიგის წინააღმდეგ. ამის ნათელი მაგალითია ბრექსიტი, რომელმაც ხელი შეუწყო ევროკავშირის განკავშირებას, ანუ რღვევას. არსებული ლიბერალ-დემოკრატიული კრიზისი და საზოგადოების მასების უნდობლობა პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ხელს უწყობს ასევე სახელმწიფოს კრიზისსაც და შეჰყავს ჩიხში.**

— თქვენი აზრით, რამ განაპირობა ევროკავშირში მიმდინარე კრიზისი?

— ამის განმაპირობებელი მიზეზებია გლობალიზაცია, ნეოლიბერალიზმი, მზარდი კორუფცია პოლიტიკურ ელიტაში და პოლიტიკური კლასის დაშორება ხალხის ინტერესებიდან.

— რატომ არ გაამართლა ლიბერალურმა დემოკრატიამ და რატომ არ მუშაობს დღეს იგი?

— ამაზე სწორი პასუხის გაცემა შორს წაგვიყვანს მაგრამ შევეცდები, მოკლედ განვმარტო. **დემოკრატიულ სახელმწიფოში თუ ხალხი ცხოვრობს კარგად, თანასწორ გარემოში და ადამიანის სოციალური, კულტურული და პოლიტიკური მოთხოვნები ისეა დაბალანსებული და დაკმაყოფილებული, რომ იგი ხელს უწყობს ბედნიერი საზოგადოების ჩამოყალიბებას, ასეთი ქვეყნის პოლიტიკური მართვის მოდელი, არც თუ ისე ხშირად, დემოკრატიული და წარმატებულია. აქედან გამომდინარე, დემოკრატია ვერ იარსებებს სწრაფი ეკონომიკური ზრდის გარეშე, რომელიც უშუალოდ იქნება დამოკიდებული ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელ ფაქტორებზე;**

— თქვენი შეხედულებით, როდის დაიწყო ლიბერალური დემოკრატიის გარდაქმნა ნეოლიბერალურ დემოკრატიად და რა პროცესები უძღოდა წინ ამ მოვლენას?

— ეს იყო ურთულესი პროცესი, ვინაიდან კაპიტალიზმი და დემოკრატია ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებები და იდეებია, რადგანაც კაპიტალიზმი წარმოქმნის უთანასწორობას, დემოკრატია კი ცდილობს მის აღმოფხვრას **(ჰაროლდ ლასკი).** ეს პროექტი მაინც შედგა ევროპაში და მეტნაკლებად აკმაყოფილებდა იმდროინდელი ევროპელების მოთხოვნილებებს. **მაგრამ ლიბერალური კაპიტალიზმის დიდი კრიზისის ფაქტორებმა ხელი შეუწყვეს კეთილდღეობის, დემოკრატიის შექმნას ევროპაში.**

მეცნიერ-მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკურ განვითარებასა და დემოკრატიას შორის პირდაპირი კავშირია, რომ რაც უფრო კარგად ცხოვრობს სახელმწიფოში ხალხი, მით უფრო მეტადაა იქ შესაძლებელი დემოკრატიის სტაბილიზაცია, სრულყოფა და შენარჩუნება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შედგა დიდი კლასობრივი შერიგების პროცესი, ანუ კლასობრივი კომპრომისის პროცესი, შეიქმნა სრულიად ახალი ლიბერალურ-დემოკრატიული რეფორმირებული პროექტი.

ამ პროცესების განმაპირობებელი იყო საბჭოთა კავშირის ფაქტორი, რადგანაც დასავლეთ ევროპა შიშობდა, რომ არ გავრცელებულიყო კომუნისტური იდეალები დასავლეთში ისე, რომ კომუნისტები არ მოსულიყვნენ ხელისუფლებაში. ესე იგი, ეს იყო იდეოლოგიური შიშის პოლიტიკა. როდესაც 80-იანი წლებიდან დაიწყო საბჭოთა კავშირის დასუსტება და 90-იან წლებში უკვე აღარ არსებობდა შიშის პოლიტიკური შეგრძნება, გაიხსნა ახალი ფაზა — მიძინებული ნეოლიბერალური იდეოლოგიის გაღვიძებისა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა დემოკრატიულმა პროექტმა შეუქცევადი მარცხი განიცადა. **ამის შემდეგ იწყება „ნეოლიბერალიზმის“ ახალი ფაზა, ანუ აბსოლუტური კაპიტალიზმის ფაზა, რასაც ამერიკელი სოციოლოგი ჯონ ბელამი ფოსტერი „გულახდილ კაპიტალიზმს“ უწოდებს და ის ფართო ასპარეზზე გამოდის.**

მანამდე მოხდა ლიბერალური დემოკრატიის გარდაქმნა (მუტაცია) ნეოლიბერალურ დემოკრატიად, ე.ი. ლიბერალური დემოკრატიის თანმდევი სოციალური კულტურის ელემენტები, როგორიცაა თანასწორობისა და ეკონომიკური სამართლიანობის იდეა, სრული დაქვემდებარებით შეერწყა ნეოლიბერალური იდეოლოგიის პროექტს.

* * *

— ვიდრე დაასრულებდეთ თქვენს აზრს, გთხოვთ განგვიმარტოთ, რას ნიშნავს, ან რა იდეოლოგიას გულისხმობს ნეოლიბერალიზმი და რას წარმოადგენს იგი?

— ნეოლიბერალიზმი, როგორც იდეოლოგია, შეუთავსებელია დემოკრატიის იდეასთან, რადგანაც დემოკრატიის იდეა დაფუძნებულია საზოგადოების კოლექტიური ინტერესების დაცვაზე, ნეოლიბერალიზმის ინტერესები კი არ ითვალისწინებს კოლექტიური ინტერესების დაცვას, ე.ი. საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა აბსოლუტურად იგნორირებულია.

ნეოლიბერალიზმი წარმოადგენს კერძო კაპიტალის ინტერესებს, სადაც სახელმწიფოც და ხალხიც არის მხოლოდ და მხოლოდ კერძო კაპიტალიზმის და ბაზრის მსახური.

ასეთ ვითარებაში **პოლიტიკური ელიტები ყოველთვის ცდილობენ, რომ ჩართული იყონ თავისუფალი ბაზრების სამსახურში, ანუ კერძო კაპიტალის მფლობელთა ზეგავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი.** ხოლო გარკვეული კაპიტალის დაგროვების შემდეგ, პოლიტიკური თანამდებობებიდან გადაინაცვლებენ დიდი და საშუალო ტრანსნაციონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. **ასეთი კულტურული, სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვისებები, რაც არის ნეოლიბერალიზმის თანმდევი, აღრმავებს იმ კრიზისს, რაც დაკავშირებულია პოლიტიკური ინსტიტუტების ნდობასთან. ამიტომაც ადამიანები ხდებიან უიმედონნი და იმედგაცრუებულნი არსებული პოლიტიკური წესრიგით. თუ დავაკვირდებით, დღეს უკვე დიდი ბრიტანეთი, ამ და სხვა მრავალ მიზეზთა გამო, გასულია ევროკავშირის შემადგენლობიდან.**

— როგორ ან რაში ხედავთ ჩვენი ქვეყნის გადარჩენის გზას?

— სამშობლო ჩვენი, საქართველო, გაძლიერდება და გადარჩება მხოლოდ და მხოლოდ ქართული ეროვნული ეკონომიკის სწრაფი აღმავლობის გზით!

პირადად ჩემი და ჩემი თანამოაზრეების უპირველეს ამოცანას დღემდე წარმოადგენს, ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას თუ როგორ უნდა შეგვემუშავებინა ისეთი სტრატეგიები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა ასევე ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საკითხიც. ამიტომაც გახდა საჭირო განგვესაზღვრა, თუ რა მოთხოვნების წინაშე აყენებს კაცობრიობას 21-ე საუკუნე, ანუ უნდა შეგვესწავლა და დაგვედგინა მსოფლიოს მოთხოვნა მიწოდების კანონზომიერებაზე. **ჩვენ მიერ ჩატარებული გარკვეული კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ XXI საუკუნე არის წყლისა და პურის საუკუნე, ადამიანის სიცოცხლისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან პროდუქტებზე კატასტროფულად იზრდება მსოფლიო მოსახლეობის ყოველდღიური მოთხოვნილება. სწორედ ამაზე ავაგეთ ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელი ეკონომიკური მატრიცა, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია პორტერის ეროვნული რომბის იდეას და იგი უშუალოდ პასუხობს ქვეყნის წარმატების მისაღწევად ორ განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს — „წარმატებულია ის ქვეყანა, რომელსაც გააჩნია რომელიმე ჭარბი ბუნებრივი რესურსი ან მაღალინტელექტუალური საზოგადოება“... მაგალითად, იაპონიას არავითარი ჭარბი ბუნებრივი რესურსი არ გააჩნია, სამაგიეროდ მისი მოსახლეობა ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიურ და ენერგოეფექტურ ახლებურ მიდგომებზე, ანუ აქ მიმდინარეობს ტექნოლოგიური სიახლეებისადმი უწყ-**

ელიზბარ ჯაველიძე:

თუ ჩემი სამშოლოს უკეთესი მომავლის და ერის ღირსეული წინსვლის პროცესების ხელისშემშლელი აღმოჩნდება ჩემი გამზრდელი უფროსი ძმა, მე მის ძმობაზე უარს ვიტყვი!

ვეტი ინტელექტუალური ომი. ჩვენში კი ერთი კაციც თუ გამოგვერია ქვეყანაზე, ხალხზე მოფიქრალი და სიახლის მაძიებელი, მაშინვე წამოესევიან, შენ უჩემოდ როგორ გაბედე სიმღერაო და მის უარყოფა-მარგინალიზაციას თავი დავანებოთ, ჩაქოლვითაც კი ემუქრებიან, ასეთი ადამიანები ქვეყნის დაუძინებელი მტრები და მაოხრებელი გზირები არიან.

* * *

– როგორია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა, ან რაზეა დამოკიდებული ჩვენი საიმედო მომავალი?

– მართალია, საქართველო უცხოური ინვესტიციებისთვის დიდი ქვეყანა არ არის, მაგრამ შესაძლებელია ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა და მისი გამოყენება ქვეყნის საკეთილდღეოდ. საქართველოს გეოგრაფია და მისი ბუნებრივი რესურსები – წიაღისეული საბადოები უცვლელი ფაქტორია, რომელიც მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო ამ ფაქტორთა სათანადო გამოყენება როგორც უპირატესობისა, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს.

საქართველოს ეკონომიკური მომავალი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, რომ იგი „სატრანზიტო ქვეყანაა“. ამას, რა თქმა უნდა, ხშირად აღნიშნავენ, თუმცა, ამგვარი განმარტება, შესაძლოა უფრო დეტალურ ანალიზს საჭიროებდეს. ცხადია, ეს ნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო აქტივობის ხელშეწყობას, მაგრამ გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, ეს ასევე შეიძლება ნიშნავდეს საკუთარი ექსპორტის განვითარებას. ამ მიმართულებით წარმატებული შედეგის მიღწევა, თავის მხრივ, დამოკიდებულია ეფექტიანი პოლიტიკის გატარებაზე ორ სფეროში: უფრო აქტიური თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. რაც შეეხება თანამშრომლობას, დღემდე პრიორიტეტად შეიძლება დასახელდეს მჭიდრო საქმიანი კავშირები სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებს, რუსეთსა და თურქეთს შორის, ეს უნდა მოიცავდეს საბაჟო ინსპექტირების დახვეწა-გამარტივებას და სხვა წარმატებულ ღონისძიებებს.

მსოფლიოში არსებობს მრავალი მაგალითი ამბიციური და „პრესტიჟული“ ინფრასტრუქტურული პროექტებისა: საავტომობილო მაგისტრალები, სარკინიგზო გზები, ნავსადგურები, ხიდები და ტერმინალები, რომლებმაც ჯერჯერობით უმნიშვნელო ან საერთოდ არანაირი ეკონომიკური შედეგი არ გამოიღო. საქართველოს შემთხვევაში, ინფრასტრუქტურის ხარისხი საკმაოდ დაბალია, თუ სამომავლოდ ინვესტიციები მიზანმიმართულად განხორციელდა, მოსალოდნელია გარკვეული დადებითი შედეგები და ამ მიმართულებით ჩადებული ინვესტიციები წაახალისებს ვაჭრობას, რომელიც ამჟამად შეფერხებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური თვალსაზრისით, გაზრდილი სავაჭრო მოცულობისა და ტრანზიტული ქვეყნის როლის აქტიური განვითარების უპირატესობები შეიძლება დაიყოს უფრო პირდაპირ და არაპირდაპირ ან „მულტიპლიკატორის (დამატებით)“ ეფექტებად.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის განხორციელების შედეგად, საქართველოსთვის პირდაპირმა ფინანსურმა სარგებელმა, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ქვეყნის ფულადი შემოსავლების ზრდას, მაგრამ რეალურად მან ჯეროვანი გავლენა ვერ იქონია მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე. **ყველა ასეთი ინვესტიცია და ამგვარი ღონისძიება ანიჭებს რეგიონულ მნიშვნელობას იმ საერთო ძალისხმევას, რომელიც საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისკენ არის მიმართული, როგორც „მულტიპლიკატორის (დამატებითი)“ ეფექტი.**

* * *

დღეს, ისე როგორც არასოდეს, გვჭირდება მეცნიერულად დასაბუთებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამების შეჯერების საფუძველზე, საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის მიზნით შემუშავებული კონცეფცია-პროგრამების განხორციელება.

ამ მიზნით შევადგინეთ **„ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ“, რომელშიც ფინანსური ნაკადების ბრუნვის „აქსელერატორი“ ასაბუთებს, რომ სახელმწიფოს სამეურნეო კომერციული საქმიანობის გამჭვირვალობის ფონზე, შედარებით მოკლე პერიოდში, როგორ განვავითაროთ დარგობრივი ეკონომიკა და როგორ გავზარდოთ ქვეყნის ფულადი შემოსავლები, სახელმწიფო ბიუჯეტი და როგორ შევქმნათ მრავალრიცხოვანი სამუშაო ადგილი, როგორ ავამაღლოთ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობა და როგორ მივაღწიოთ ქვეყნის საერთო კეთილდღეობას, რითაც საფუძველი ჩაეყრება ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს რეალურ მშენებლობას, მშვიდობიანი რეგიონული ეკონომიკური სივრცით.**

ᲛᲐᲙᲠᲝᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ, ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲡᲣᲠᲡᲝ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲡ, ᲠᲐᲨᲘᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲠᲙᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲨᲘ.

თავის მხრივ, მიწისქვეშა სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგების, როგორც ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშ-



ნულების პროდუქტის საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მატერიალიზების ტექნოლოგია ფასიანი ქაღალდების – აქციების, ობლიგაციებისა და თამასუქების სახით, ინდუსტრიული წარმოების შედეგად მიღებული ქვეყნის მშპ-ის გაზრდილ მოცულობაზე მიბმით, ქმნის სოლიდურ ფინანსურ ინსტრუმენტს, მისი ზრდის პერსპექტივით.

– ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲠᲐᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲗᲫᲕᲔᲜᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ?

– ეს მოდელი იძლევა მსოფლიო მნიშვნელობის უმაღლესი კლასის ახალი საბანკო გარანტიის მაფორმირებელ რეალურ მატერიალურ სიმდიდრეს ანუ ქონებას გამოხატულს შესაბამისი ფასების ინდექსით, ხოლო მიწისქვეშა სასმელი წყლის საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების 5%-ის საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მატერიალიზება, აქციებისა და სხვა მომგებიანი ფასიანი ქაღალდების სახით, გამოყენებული იქნება შეღავათიანი ფულადი რესურსების მოსაზიდად (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) სესხის სახით და იგი მოხმარდება ჩვენ მიერ შემუშავებული სტრატეგიულად მნიშვნელოვანი 17 მიმართულების დარგობრივ-ეკონომიკური პროექტების დაფინანსებას ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ, სადაც **მე-7 წლიდან დაარსებული 400 ათასამდე შრომისუნარიანი მოქალაქე მაღალანაზღაურებადი ხელფასით, ხოლო მე-10 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტი მიაღწევს 50-მლრდ აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. საქართველოს თითოეული მოქალაქე ეტაპობრივად გახდება საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის ერთი აქციის მფლობელი, რომლის მატერიალური ფასეულობიდან მისაღები სარგო მე-10 წლიდან გახდება მზარდი.** ეს საფუძველს ჩაუყრის სოციალურად ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას, ერთიანი, უსაფრთხო რეგიონალური ეკონომიკური სივრცით. მეტადრე დაინყება ემიგრაციაში მყოფი ქართველთა ღირსეული დაბრუნება საკუთარ სამშობლოში. გაუმჯობესდება დემოგრაფიული მდგომარეობა, შეივსება მიტოვებული და დაცარიელებული სოფლები. რეგიონებში გაძლიერდება ადგილობრივი თვითმმართველობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოფლისა და სატყეო მეურნეობის თანამედროვე მიდგომებით მშენებლობას. პრიორიტეტული გახდება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და გადამმუშავებელი მრეწველობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალი სარწყავ-საირიგაციო და წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების მშენებლობას...

– ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠᲗ ᲦᲐᲠᲘᲑ-ᲦᲐᲢᲐᲙᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ!.. ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲛ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐ-�პᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ?

– გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე საქართველო უნდა გახდეს ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტიორი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა, რის შედეგადაც დარგობრივ-ეკონომიკური პროექტებში ახალი ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენებით დაბანდებული თანხები, ასახვას პოვებს საბიუჯეტო შემოსავლების ნახტომისებრ ზრდაში. ეს კი ქვეყნის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციით აღმშენებლობის სრული გარანტიაა.

– ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ �გᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲑᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲖᲔᲪ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲣᲬᲧᲚᲝᲓ ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲗ!

– ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ცნობილი მეცნიერ-ჰიდროგეოლოგების: იოსებ და გურამ ბუაჩიძეების, ლევან ხარატიშვილის, ივერი წულუკიძის, ჯემალ გაბეჩავას, ოთარ ნათიშვილის, ლევან მახვილაძის, გიგლა გობეჩიას ღვაწლი საქართველოს კონკურენტუნარიანი უპირატესობის მქონე სასმელი წყლის რესურსების საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების მოძიებისთვის. საქართველოში არსებული 450 წიაღისეული საბადოდან მაკროეკონომიკური კვლევების საფუძველზე მხოლოდ ეს ერთ-ერთი რესურსია მსოფლიო მნიშვნელობისა და იგი ადამიანისთვის აუცილებელ სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტს წარმოადგენს, თანაც ბუნებრივი განახლების მქონეა, რომლის კვლავწარმოებას ხელს უწყობს ტყით დაფარული ფართობები, 26000-ზე მეტი მდინარე, 800-ზე მეტი ტბა და ხელოვნური წყალსაცავი, ამის შემდეგ მოდის ჭაობები და ბოლოს 1%-ზე მეტი – მყინვარწვერიდან ჩამონადენი წყალი, თუ ჩვენი ქვეყანა სახელმწიფო ზრუნვის საგნად აქცევს ჭრაგავლილი ტყის ფართობების აღდგენა-განახლების საქმიანობას, რასაც ათეულობით მლრდ აშშ დოლარი სჭირდება და 25 წელზე გათვლილი ტყის აღდგენითი სამუშაოების პერიოდი (შესაბამისი თანხები უკვე მოძიებულია, კონცეფცია-პროგრამის განსახორციელებლად, ხელისუფლების პოლიტიკური ნება თუ იქნება, გლობალური დათბობის პერიოდში საქართველოში სასმელი წყლის რესურსების მარაგებს არავითარი საფრთხე არ ემუქრება!

ასე რომ, საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა დედამიწაზე სასმელი წყლის უნიკალური რესურსებით, რომლის მსგავსი ხარისხობრივი, თვისობრივი და რაოდენობრივი მარაგები არსად არ მოიპოვება, ალბათ აქედან მოდის უფლის წყალობა, რომელიც ასე უხვად მიანიჭა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას და მის მოსახლეობას ღირსეული, ხანგრძლივი, ნაყოფიერი სიცოცხლისა და მოღვაწეობისთვის. მერწმუნეთ, ჩვენ არა ვართ ღარიბ-ღატაკი ქვეყნის შვილები, ჩვენ ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნის შვილები ვართ იმათთან შედარებითაც კი, ვინც გაზისა და ნავთობის მფლობელი ქვეყნებია და... ასე გაჭირვებაში ჩვენი ხალხი არ უნდა ცხოვრობდეს...

– ᲒᲕᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲒᲐᲫᲕᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲐᲛ ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ? ᲗᲣ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲫᲕᲗ, ᲠᲐ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲦ�წᲔᲕᲐᲡ?

– მოსახლეობა კარგად რომ გაცნობოდა გასული საუკუნის მიწურულს დაწყებული ეკონომიკური ცვლილებების შედეგად გამოწვეულ დღემდე არსებულ სიდუხჭირის პრობლემებს და დაენახათ ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის გზა, ჩემს თანაავტორ და თანამოაზრე მეგობრების, ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების, საინიციატივო ჯგუფის წევრების: ნოდარ ჩხეიძის, რამაზ სურმანიძის, ელიზბარ ჯაველიძის, რომან რურუას, გიგა ბათიაშვილის, რევაზ გოგოხიას, ანზორ ჭითანავას, ზურაბ აბაშიძის, გურამ აბაშიძის, ჯონი ბარამიძის, ბიძინა ორაგველიძის, ნატალია ზაქარეიშვილის, გურამ საღარაძის, თამაზ ცინცაძის, ზაურ ციხელაშვილის, ზურაბ გასიტაშვილის, შალვა ნეფარიძის, არდალიონ ხააძის, ნიკოლოზ გონაშვილის, გია წვერავას, რობერტ გოლეთიანის, მამუკა ბეშკენაძის, კახაბერ ჭეიშვილის, ნოდარ ავლახაშვილის, ციალა ბექურაიძის, სოსო ჭანტურიას, ჯემალ მაკალათიას, რევაზ ლეთოდიანის, დავით გაბუნიას, მურმან ნაჭყებიას, ელიზბარ ლომინაძის, ალექსანდრე კალაძის, ალექსი არაბულის მონაწილეობით, საქართველოს ძირძველ მიწაზე, იქ სადაც ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანობა იქადაგა, **ᲥᲐᲚᲐᲫ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲓᲐᲕᲐᲤᲣᲫᲜᲔᲗ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲝᲘᲪᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲤᲣᲫᲜᲔᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ.**

პანდემიის მოვლენების გამო სადამფუძნებლო კრების ჩატარება ვერ მოხერხდა დედაქალაქ თბილისსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. საერთო მხარდამჭერთა რაოდენობა ოფიციალური ხელმოწერებით მონაცემთა ბაზაში ითვლის 430 ათას წევრს! სულ მალე მხარდამჭერთა რიგები გაიზრდება და მათი რაოდენობა მილიონს მიაღწევს. ამისთვის ჩვენ მზად ვართ!...

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲭᲐᲠᲑᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ ᲐᲜ ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲒᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

რომან რურუა:
სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, ინგრევა შიგნიდან და ეს ნგრევა უკიდურესად გამდიდრებულ და უღარიბეს ფენათა შორის დაძაბულობის გამოწვევით იწყება!

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲘᲜᲒᲠᲔᲕᲐ ᲨᲘ�გᲜᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲔᲡ ᲜᲒᲠᲔᲕᲐ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲐᲓ �გᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲣᲦᲐᲠᲘᲑᲔᲡ ᲤᲔᲜᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲗ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ!

№ 157-158. ორშაბათი-სამშაბათი, 19-20 ივლისი, 2021 წელი.

პრომეთე-ქალის „ოქროს ძარღვი“

– ქალს ორი განძეული გააჩნია – სილამაზე და სიყვარულიო, – ასე არიგებდა პოლონელი ებრაელის, კრაკოველი ჰორაციუს რუბინშტეინის მეუღლე ავგუსტა თავის რვა ქალიშვილს, მათ შორის უფროსს, მომავალში მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ბრენდის შემქმნელს – ელენას.

თავადი არჩილ გურიელი-ჭყონია და თავადის ქალი ელენა რუბინშტეინი

ყველაზე მეტად ქვეყანაზე ვაჟიშვილის ყოლა უნდოდა პან ჰორაციუსს, მაგრამ რადგან უფალმა სხვაგვარად ინება, თავის მემკვიდრედ მან უფროსი ქალიშვილი ელენა აირჩია, რომელიც დაბადებიდანვე დებისგან გონიერებით, მიზანდასახულობით, სიჯიუტით, დამოუკიდებელი ხასიათით და არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. სკოლას მან გამოსაშვებ კლასში დაანება თავი, რის გამოც მამამ მისი დაუკითხავად გათხოვება გადაწყვიტა, თუმცა ბებერ საქმროს ქალიშვილი ავსტრალიაში გაექცა, სადაც ბიძა ეგულებოდა, რომელიც მანამდე არასდროს ენახა. მთელი მისი სიმდიდრე კი სახლიდან გაქცევის დღეს დედის გამოტანებული სახის კანის საცხებიანი რამდენიმე ქილა იყო. ჰოდა, სწორედ ეს ქილები გახდა მომავალი მსოფლიო კოსმეტიკური იმპერიის ქვაკუთხედი.

ავსტრალიაში ჩასულმა ქალიშვილმა არათუ იქაური ცხოვრების წესის შესახებ

სალვადორ დალისთან ერთად

არ იცოდა არაფერი, ენაც კი არ ესმოდა, მაგრამ, მიზანდასახულობა მისი ხასიათის განსაკუთრებული თვისება იმთავითვე იყო. თავდაპირველად ის მინდორში მუშაობდა მოსავლის აღებაზე, იყო მაღაზიის მტვირთავი, მერე, ენა რომ ისწავლა, კაფეში ოფიციანტობა დაიწყო. იატაკის მრეცხავადაც მუშაობდა მდიდრების სახლებში, ოღონდ გონიერებამ და წინდახედულებამ მაშინაც იჩინა თავი: თუკი, მისი გათვლებით, ესა თუ ის მდიდარი ოჯახი მას შეიძლებოდა მომავალში თუნდაც რამეში გამოდგომოდა, სამუშაოში გასამრჯელოს არ იღებდა. მოვლენათა ასე განჭვრეტის უნარი მას მომავალში არაერთხელ გამოადგა.

ავსტრალიაში ელენა ადგილობრივი კანგარუჯული ქალებისგან კანის ფერმიმხდალობით გამოირჩეოდა, რაც მისდამი ყურადღების მიზეზი გახდა. დედის გამოტანებული კანის საცხიანი ქილები მალევე გაუთავდა, მაგრამ ელენა უკვე მიხვდა, რომ „ოქროს ძარღვს“ მიაგნო, ამიტომაც 24 წლის ქალიშვილმა ადგილობრივ აფთიაქარებთან ერთად მზისგან დამცავი სახის კანის დამნამავი საცხის „ველაზეს“ გამოშვება დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ მარკეტინგზე, მენეჯმენტზე, საერთოდ, ბიზნესის წარმართვაზე არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა, მას საქმიანი ქალისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი თვისება – მეწარმის გასაოცარი ალღო – ჭარბად ებადა. მან ნათესავებისგან ცოტაოდენი ფული ისესხა, მელბურნში პატარა მაღაზია გახსნა და სახის კანის საცხების გამოშვებას შეუდგა, რამაც მის სალონს სახელი მოუხვეჭა და პოპულარობა მოუტანა. რამდენიმე წლის შემდეგ მან პარიზში დერმატოლოგიური საშუალებების დამმუშავებელი ლაბორატორია შექმნა, 1912 წელს კი მსოფლიოს კანის მოვლის ინოვაციური სისტემა წარუდგინა, რომელიც სამი – მშრალი, ნორმალური და ცხიმიანი ტიპის კანის ერთმანეთისგან განსხვავებებს ეფუძნება.

სარეკლამო კამპანიების სტრატეგიის ავტორიც თავადვე იყო. მაგალითად, სწორედ მას ეკუთვნის გენიალური სამარკეტინგო სვლა, როცა საკუთარი წარმოების პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, მან ლამაზი მოდელები თეთრ ხალათებში გამოაწყო, რამაც მომხმარებელს შთაბეჭდილება შეუქმნა, თითქოს ელენა რუბინშტეინის კოსმეტიკას ექიმები ამუშავებენ! ამასთან, იგი პირველი იყო, ვინც სარეკლამო კამპანიებში მონაწილეობის მისაღებად ცნობილი ქალბატონების – მსახიობების, მოდელების, მაღალი საზოგადოების წარმომადგენლების – მიწვევა დაიწყო.

პარიზის მერე მან ლონდონი „დაიპყრო“... იქ მსოფლიოში საუკეთესო დერმატოლოგები ჩაიყვანა და საზოგადოებას ახალი მოვლენა წარუდგინა, რომელსაც ახლა ყველანი მაკიაჟს ვუწოდებთ – და რის განხორციელებას უამრავი ელენასეული ფირმის პრდოუქტი – ფერადი პუდრი, ფერუმარილი, სხვადასხვა ფერის პომადები და ტუში, ნაირნაირი ფუნჯები და კიდევ ათასი რამ სჭირდება.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბევრ რამეში მას ერთობ კარგი ალღოს პატრონი მეუღლეც ედუარდ ტიტუსი დაეხმარა. კერძოდ, მისი იდეა იყო დეკორატიული კოსმეტიკის ხაზის საქონლის ექსკლუზიური შეფუთვისა და სუნამოების გასაოცარი ფლაკონების გამომშვები ფაბრიკის შექმნა. თანაც, იცით, რომ ამ ფლაკონებს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი სალვადორ დალი ქმნიდა. სხვათა შორის, მასვე ეკუთვნის ლოგოტიპი „HR“ და პუდრის დიზაინი. სალვადორ დალის ახირებული ხასიათი უკვე იმთავითვე იყო ცნობილი, „კოხტა ქცევებით“ არც თავადე ელენა გამოირჩეოდა, თუმცა ამ გარემოებას მისთვის ხელი არ შეუშლია ემეგობრა საქვეყნოდ ცნობილ მსახიობ სარა ბერნართან, მხატვრებთან – ედგარ დეგასთან, პაბლო პიკასოსთან, ამედეო მოდილიანისთან, მარკ შაგალთან, ოგიუსტ რენუართან, სხვებთან.

„არ არსებობენ ულამაზო ქალები, არსებობენ მხოლოდ ზარმაცები“, – თქვა ერთხელ ელენა რუბინშტეინმა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ თავისი დაუოკებელი, უაღრესად ძუნწი, ტირანული, დაულაგებელი ხასიათის მიუხედავად, სიზარმაცეს მას ვერავინ დასწამებდა. თანაც ის უდავოდ ბუნებით უხვად დაჯილდოებული ქალი გახლდათ: იცოდა ხუთი ენა, პირველმა დაადგინა საქონლის საბითუმო პარტიის მინიმალური ოდენობა, რამაც მისი ბიზნესი უაღრესად მომგებიანად აქცია, ყველა გამყიდველს სპეციალური პროგრამით ამზადებდა, თან გაყიდული საქონლის საცალო ფასიდან მოგების 40 და რეკლამაში ბონუსის სახით 5 პროცენტს უხდიდა. ყოველი გაყიდვიდან კი ფირმის კონსულტანტი თანხის 10 პროცენტს იღებდა.

პარიზში იგი ქმარს გაეყარა და რამდენიმე წელიწადში ქართველ თავადს არჩილ გურიელ-ჭყონიას გაჰყვა ცოლად. 1939 წელს იგი ქმართან ერთად პარიზიდან ნიუ-იორკში გადავიდა, სადაც ძალისხმევას არ იშურებდა საიმისოდ, რომ რაც შეიძლება მეტი ებრაელი ჰოლოკოსტისგან დაეხსნა, ხელს უწყობდა მათ ამერიკაში ჩასვლაში და თავის კომპანიაში ასაქმებდა. სწორედ მეორე მსოფლიო ომის დროს იყო, რომ ელენამ და არჩილმა „გურიელის სახლი“ გახსნეს, სადაც მამაკაცებს შეეძლოთ მოდური ავეჯისა და სამოსელის შეძენა, საგანგებო პროცედურების ჩატარება.

ნიუ-იორკში არჩილი და ელენა პარკ ავენიუზე ფეშენებელურ ბინაში ცხოვრობდნენ და იმდენად მდიდრულ წვეულებებს მართავდნენ, რომ მათ სახელს თიკუნად „რუბინშტეინ-ჰილტონიც“ კი შეარქვეს: მისი სტუმრები ამერიკისა და მსოფლიო კულტურული და საქმიანი ელიტის ნაღებს წარმოადგენდნენ, მათი სიები კი მეორე დღის გაზეთების მაღალი საზოგადოების ახალი ამბების რუბრიკაში ქვეყნდებოდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე 70 წელს გადაცილებული ელენა რუბინშტეინი პარიზში დაბრუნდა, სადაც კვლავაც განაგრძო აქტიური სამეწარმეო და სამეცნიერო საქმიანობის ხელმძღვანელობა, პარიზელ ქალბატონებს ისევ სიცოცხლის ხალისს უბრუნებდა. არჩილ გურიელ-ჭყონიასთან გატარებული წლები ყველაზე მშვიდი და ბედნიერი იყო ელენას ცხოვრებაში, რამაც არნახული წარმატების მოპოვებაში ძალიან შეუწყო ხელი. მისი ფირმის კოსმეტიკა დიდი წარმატებით იყიდებოდა მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში, ვაჟიშვილები საქმის გაძღოლაში გვერდში ედგნენ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრებაში ხშირად ხდება ისე, რომ ბედნიერ წლებს უბედურება მოსდევს, გულის შეტევით მოულოდნელად გარდაიცვალა ელენა რუბინშტეინის მეუღლე, თავადი არჩილი, ორი წლის შემდეგ კი მან უფროსი ვაჟიშვილი ჰორაციუსიც დაკარგა ავტოკატასტროფაში. არადა, დედის ჩანაფიქრით, საოჯახო საქმეს სწორედ ის უნდა გაძღოლოდა. საყვარელი ადამიანების დაღუპვით გამოწვეულ ტკივილს იგი მუხლჩაუხრელი მუშაობით იქარწყლებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ელენა რუბინშტეინი საკმაოდ ხელმომჭირნე ქალბატონი იყო, სკოლებისა და საავადმყოფოების დასახმარებლად სოლიდურ თანხებს მუდმივად იღებდა, თანაც დედმამიშვილებს შორის ის ერთადერთი იყო, ვინც მშობლებზე ზრუნავდა, სახლში კი უნიკალური პავილიონი ააშენა, სადაც სურათებისა და მცირე ქანდაკებების, სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების სხვა ნიმუშების უნიკალური კოლექციაა დაცული.

ელენა რუბინშტეინმა ხანგრძლივი სიცოცხლის გზა განვლო და ერთხელ, როცა პირადმა მდივანმა ჰკითხა, სიკვდილისა თუ გეშინიათო, მან მიუგო: **„ახლა უკვე აღარც ერთი წამითაც არ მეშინია. უწინ კი, მისი შიში მქონდა, მაგრამ, ძალიან დიდი ხანია ველოდები, ეს საინტერესო გამოცდილება უნდა იყოს“.**

ამ საუბრიდან ერთი დღის შემდეგ, 95 წლის ასაკში ელენა რუბინშტეინი გარდაიცვალა.

თავის დროზე ჟან კოკტომ მას „სილამაზის იმპერატრიცა“ უწოდა და ამ ტიტულს იგი ექვსი ათეული წლის მანძილზე ღირსეულად ატარებდა, სალვადორ დალიმ კი იგი ზურმუხტისფერ კაბაში გამოწყობილი კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე-ქალის სახეში უკვდავჰყო.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

კანის კინოფესტივალის გამარჯვებულნი

კანის 74-ე კინოფესტივალის მთავარი პრიზი – **ოქროს პალმის რტო** გადაეცა ფრანგი რეჟისორის ჟულია დიუკორნოს ფილმს „ტიტანი“. ეს არის სერიული მკვლელი გოგოს ამბავი, რომლის სექსუალური პარტნიორებიც ავტომობილები არიან. აგატა რუსელის გმირი სწორედ ავტომობილისაგან დაორსულდება.

კინოფესტივალის გრან-პრი

მოიპოვა ორმა ნამუშევარმა: ირანელი რეჟისორის ასგარ ფარჰადის ფილმმა **„გმირი“** და ფინელი რეჟისორის იუჰო კუოსმანენის კონოსურათმა **„კუპე ნომერი ექვსი“.**

საუკეთესო რეჟისურისთვის **ჯილდო მიიღო ფრანგმა რეჟისორმა ლეოს კარაკსმა ფილმისთვის „ანეტი“.**

მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი გადაეცა **ლენდრი ჯონსს,** ავსტრალიელი რეჟისორის ჯასტინ კურზელის ფილმ „ნიტრამში“ შესრულებული როლისთვის. ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის კი ჯილდო წილად **ხვდა რენატე** რეინსვეს ნორვეგიელი რეჟისორის იოაკიმ ტრიერის ფილმისთვის „ყველაზე საშინელი ადამიანი დედამიწაზე“.

საუკეთესო სცენარისთვის ჯილდო გადაეცა იაპონურ ფილმს **„დაჯექი ჩემი მანქანის საჭესთან“,** რომლის რეჟისორია რიუსუკე ჰამაგუჩი. ფილმი ჰარუკი მურაკამის ნაწარმოების ეკრანიზაცია წარმოადგინა. ჟიურის პრიზი ერგო ორ სურათს – ისრაელელ რეჟისორს ნადავ ლაპიდსა და ტაილანდელ რეჟისორს აპიჩატპონგი ვირასეტაკულას. კანის 74-ე საერთაშორისო კინოფესტივალი წელს 6-17 ივლისს გაიმართა.

ევროპარლამენტარები გაოგნებული არიან თქვენი საქციელით!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კახა კუჭავას განცხადებით, პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მხრიდან ყველა მედიასაშუალებასთან იყო კომუნიკაცია.

კუჭავას თქმით, მათ მიეცათ საშუალება, წარმოედგინათ სია, ვისთვისაც სურდათ საშვის დაშვება.

„ეს არის ფაქტი, ამას ვერ გაექცევით. ნებისმიერ ჟურნალისტზე, თუ ჯგუფის წევრზე, ვისზეც მოვიდა მოთხოვნა, ყველაზეა საშვი დაშვებული. სტუმრებთან დაკავშირებით საშვის დაშვება დღეს არ იქნება, რომ არ განმეორდეს იგივე, როცა თქვენ, მათ შორის, პარლამენტის წევრები 12 ივლისს, წინა რიგგარეშე სხდომაზე შეეცადეთ, სხდომა ჩაშლილიყო. ამის უფლებას ვერ მოგცემთ, დღეს აუცილებლად გაიმართება მინისტრის მოსმენა და თქვენც მიიღებთ ამ სხდომაში მონაწილეობას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არცერთ ჟურნალისტზე არ ყოფილა შეზღუდვა, მედიის წარმომადგენლებმა რა სიაც მოგვაწოდეს, ყველაზე იქნა საშვი დაშვებული. ევროკავშირის სტანდარტებია სასესიო დარბაზში შემოჭრა და სხდომის ჩაშლა? თქვენ გქონდათ კომუნიკაცია ევროპარლამენტარებთან? მე მქონდა და გაოგნებულები იყვნენ იმ საქციელით, სხდომის ჩაშლას რაც ეხებოდა. სადმე, ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში წარმოგიდგენიათ, დარბაზში რომ შევარდნილიყვნენ? მალე ვარეგისტრირებთ კანონპროექტს, მკაცრად იქნება დარეგულირებული ნებისმიერი სახით დროშის ხელყოფა“, — აღნიშნა კახა კუჭავამ.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ხატია დეკანოიძემ განაცხადა, რომ პარლამენტში ჟურნალისტებს არ უშვებენ. **„ერთადერთი, მე მოვითხოვე ჟურნალისტების სია, რომელიც გადაცემული იყო მათ შორის „ლელოს“ და ჩვენ მიერ. ჟურნალისტებს არ უშვებენ, პარლამენტი გადააქციეს ყაზარმად, ამიტომ მე მოვთხოვე პარლამენტის თავმჯდომარეს, გამოვიდეს ჩემთან ერთად გარეთ და შეხედოს ჟურნალისტებს, უშვებენ თუ არა და, როგორც ყოველთვის, საერთოდ არაფერი სათქმელი არ ჰქონდათ და ამიტომ დაასრულეს სხდომა მალე“,** — განაცხადა ხატია დეკანოიძემ.

...შენ, მაქარაშვილმა და მშვილდაძემ უნდა მოაწყოთ საქართველოში მაიდანი?

ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე სოციალურ ქსელში შოთა დიღმელაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმიანება, რომ საქართველოში თუ იქნება მაიდანი, ისინი გაიმარჯვებენ.

ქადაგიძის თქმით, როდესაც ძალადობას აპროტესტებ და მერე აცხადებ, მინიმალური მსხვერპლით — მაიდანიო, არანაირი განსხვავება შენსა და 5 ივნისს ჟურნალისტებზე მოძალადეებს შორის არ არის.

„ტიპი არის ჩვეულებრივი სტალინელი — ერთი ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა, ათასების სტატისტიკაო, რომ ამბობდა. არა ძალადობასო და მერე აყოლებს მინიმალური მსხვერპლიო... მაიდანიო... ესენი აპროტესტებენ ძალადობას? ამათ უნდათ მშვიდი და „ფერადი“ ცხოვრება? არანაირი განსხვავება არაა მოძალადეს, რომელიც 5 ივლისს ჟურნალისტებზე ძალადობდა და ფსევდოლიბერალებს შორის, რომელთაც „მაიდანი“ უნდათ. 4 პარტიული ტელევიზია, 15 პარტია, არასამთავრობო სექტორის უმრავლესობა მობილიზებული გყავთ და 1000 კაცს ვერ კრებთ. იმიტომ რომ, არ ხართ ხალხის სურვილების გამხმოვანებლები. შენ, მაქარაშვილმა და მშვილდაძემ უნდა მოაწყოთ მაიდანი?“ — წერს ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე სოციალურ ქსელში.

სულით დაცემულთა ნამდვილი სახე

რეალურად ეს ნეოტროცკისტები და მათი მფარველები იბრძვიან იმისათვის, რომ აქ სისხლის კალოები დააყენონ. ყოველივე ამის გაკეთებას კი აპირებენ ევროინტეგრაციის საფარქვეშ, — ასე ეხმიანება ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** შოთა დიღმელაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას.

„არაფერი არ არს დაფარული, რომელიც არ გაცხადებისო“ — ბრძანებს უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ნახეთ, აი ამ სულით დაცემულთა ნამდვილი სახე! რეალურად ეს ნეოტროცკისტები და მათი მფარველები იბრძვიან იმისათვის, რომ აქ სისხლის კალოები დააყენონ. და არ მალავენ ამას კიდევაც! ყოველივე ამის გაკეთებას კი აპირებენ ევროინტეგრაციის საფარქვეშ! საქართველოს მოქალაქენო! რეალურად ეს სუბიექტები ქვეყანაში აპირებენ არეულობას, ადამიანების დახოცვას, ეკლესიის და პატრიარქის განადგურებას! ერთი სიტყვით საქართველოს, მის მოსახლეობას, რწმენას უცხადებენ ომს! ამიტომაც იყავით ფხიზლად და ფრთხილად! ნახეთ და მოუსმინეთ!“ — წერს ედიშერ გვენეტაძე.

ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატებმა საჭირო მხარდაჭერა ვერ მიიღეს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატებმა პარლამენტის რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე გამართული კენჭისყრის დროს საჭირო მხარდაჭერა ვერ მიიღეს. კერძოდ, ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატ გიორგი კალანდარიშვილს 82-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, რვამ კი ხმა წინააღმდეგ მისცა.

ცესკოს თავმჯდომარეობის მეორე კანდიდატ გიორგი სანტურიანს მხარი დაუჭირა ორმა დეპუტატმა, ათი კი წინააღმდეგი იყო. პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატები გიორგი კალანდარიშვილი და გიორგი სანტურიანი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომლები არიან.

ცესკოს თავმჯდომარის ან წევრის ხუთი წლით დამტკიცებას ხმების 2/3-ით, ანუ სულ მცირე 100 ხმით მხარდაჭერა სჭირდება.

ლექსო ლაშქარავას სხეულში იყო ნარკოტიკული საშუალების ის ოდენობა, რომელიც ლეტალობისთვის საკმარისია

განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე დარახველიძემ „შაბათის ქრონიკაში“ საუბრისას.

„რა თქმა უნდა, დაზარალებულის უფლებამონაცვლეს აქვს უფლება, გაეცნოს. მათ დაქირავებული ჰყავთ დამოუკიდებელი ექსპერტი თავიანთი ინტერესების დასაცავად და მასაც აქვს საშუალება, გაეცნოს ექსპერტიზის დასკვნას. აქ საუბარია კონკრეტული ნარკოტიკების შემცველობაზე, რომელიც დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, არის ლეტალობის გამომწვევი. კონკრეტულად რამ გამოიწვია ლექსო ლაშქარავას გარდაცვალება, იყო თუ არა ეს ზედოზირების შედეგი, თუ იყო სხვა ფაქტორებით გამოწვეული, ექსპერტიზა გრძელდება, საბოლოო დასკვნა დაიწერება, თუმცა, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის შედეგად გვაქვს მონაცემები, რომელშიც მითითებულია, რომ მის სხეულში იყო ნარკოტიკული საშუალების ის ოდენობა, რაც ლეტალობისთვის საკმარისია“ — განაცხადა ალექსანდრე დარახველიძემ.

წყალდიდობა ევროპაში

ევროპაში **წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 170-მდე გაიზარდა. დასავლეთ გერმანიაში წყალდიდობას სულ მცირე 143 ადამიანი ემსხვერპლა. ზოგიერთ რაიონში წყლის მაღალი დონისა და კომუნიკაციის არქონის გამო, ასობით ადამიანი ითვლება დაკარგულად.**

გარდა ამისა, კაშხლის გარღვევის გამო ასობით ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა კიოლნთან ახლოს მდებარე ქალაქ ვასენბერგში. რისკის ქვეშაა შტეინბახტალის კაშხალიც. ბელგიაში წყალდიდობის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 27-მდე გაიზარდა, ათეულობით ადამიანი კი დაკარგულად ითვლება. საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული ნიდერლანდებში, სადაც დატბორვა სამხრეთ პროვინციებს ემუქრება. დატბორვის საფრთხის ქვეშაა ლუქსემბურგიც.

მეწყერს მსხვერპლი მოჰყვა

ინდოეთში, მუმბაის ორ დასახლებაში, ძლიერი წვიმით გამოწვეულმა მეწყერმა რამდენიმე სახლი დაანგრია. შედეგად, სულ მცირე, 15 ადამიანი დაიღუპა. ოფიციალური უწყებები არ გამორიცხავენ, მსხვერპლის რაოდენობა გაიზარდოს, რადგან სამძებრო-სამაშველო სამუშაო ამ დრომდე გრძელდება. არიან დაშავებულებიც.

ძლიერი წვიმის შედეგად, დატბორილია ქალაქის რამდენიმე უბანი, შეფერხებულია სარკინიგზო მიმოსვლა.

ნავთობის მოპოვებაზე უარს ამბობენ

გრენლანდიის ხელისუფლებამ ნავთობის ჭაბურღილებზე საძიებო სამუშაოები შეაჩერა. მთავრობა აცხადებს, რომ გლობალური დათბობა პრიორიტეტია და ამიტომ ნავთობის მოპოვებაზე უარს ამბობს. გრენლანდიის წყლებში ნავთობის მოპოვების შეჩერების შესახებ ხელისუფლებამ გადაწყვეტილება 24 ივნისს მიიღო, თუმცა ინფორმაცია 15 ივლისს გაასაჯაროვა.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის ინფორმაციით ქვეყანაში ნავთობის არსებული მარაგი დაახლოებით 17,5 მილიარდი ბარელია, ხოლო ბუნებრივი აირის მარაგი ოთხ ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს.

ირანში წყლის დეფიციტია

ირანის პროვინცია ხუზესტანში წყლის დეფიციტის გამო, საპროტესტო აქციებმა იფეთქა. გამოცემის ცნობით, წყლის დეფიციტი მდინარე კარუნის დაშრობამ განაპირობა. ადგილობრივმა მოსახლეობამ აქცია გამართეს, სადაც იარაღიდან ისროლეს.

შედეგად სცენაზე მყოფი ერთი ადამიანი დაიღუპა. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა დაწვეს საბურავები, გადაკეტეს გზა. ირანის უსაფრთხოების ძალები აქციის დაშლას ცდილობენ.

ყირიმში პლაჟებზე გრუნტი ვარდება

რუსეთის მიერ ანექსირებულ ყირიმში სანაპირო ზოლში გრუნტის ჩავარდნის შემთხვევები გახშირდა. ქალაქ სევასტოპოლის ხელისუფლებამ სპეციალური განცხადება გაავრცელა ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტებისთვის, რომ მათ ფრთხილად შეარჩიონ პლაჟებზე ადგილები, განსაკუთრებით მოერიდონ კლდოვან ადგილებს.

ხელისუფლება აცხადებს, რომ გრუნტის ჩავარდნები რელიეფის განსაკუთრებულობამ და უხვმა ნალექებმა გამოიწვია.

დაპირისპირებებს ბავშვები ეწირებიან

72 **დაღუპული** და 1 000-მდე დაკავებული ბავშვი ქვეყნის მასშტაბით, — ასეთია 1 თებერვლიდან დღემდე, მიანმარში, მწვავე დაპირისპირების შედეგები, რომელსაც გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტი ავრცელებს.

„ბავშვები ყოველდღიურად განიცდიან ძალადობას, დგანან უმისამართო სროლებისა და თვითნებური დაკავებების პირისპირ“, — ამბობენ გაეროს ექსპერტები. ბოლო 5 თვის განმავლობაში მოკლულ ბავშვებს შორისაა 6 წლის გოგოც, რომელსაც პოლიციელმა მუცელში ესროლა. გაეროს ბავშვთა ეფლეების კომიტეტი 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან შედგება. კომიტეტის ფუნქციაა, მონიტორინგი გაუწიოს ბავშვთა უფლებების კონვენციის შესრულებას, რომელსაც მიანმარმა ხელი 1991 წელს მოაწერა.

◎ კრივი

საამაყო ათეული

თბილისმა პირველად უმასპინძლა 16-წლამდელ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატს და სასიხარულოა, რომ 30 ქვეყნის წარმომადგენლებთან 13 წონით კატეგორიაში გამართული ბრძოლების შემდეგ 10 ჭაბუკი და გოგონა „ჯვაროსანი“ საპატიო კვარცხლბეკზე ავიდა.

ქართულ რინგზე მოპოვებული წარმატების ავტორები არიან მთავარ მწვრთნელ **ბექა ლობჟანიძის,** მწვრთნელების — **ნიკოლოზ იზორიასა** და **ზაალ კვაჭატაძის** შემდეგი შეგირდები:

„ოქრო“ — დემურ ქაჯაია (60);

„ვერცხლი“ — გორ აივაზიანი (46), ორუჯ ახმედოვი (48), დავით ჯაფარიძე (52), მეჰმან ნამაზოვი (66), გიორგი ნატროშვილი (70), თათია ბუკია (75);

„ბრინჯაო“ — თამარ სამელია (46), მამუკა სართანია (63), ტარიელ შარიქაძე (80).

◎ რაგბი

„ბორჯღალოსანთა“ მსგავსად, ფრანგული გრანდები უკვე ქართული რაგბის უახლოესი რეზერვითაც ინტერესდებიან და თამამადაც იწვევენ შემდგომი სრულყოფისათვის.

ეს დიდი პატივია

კერძოდ, ამ დღეებში იქაურ კლუბებთან კონტრაქტი თბილისის „ხვამლის“ ერთბაშად ორმა პირველხაზელმა გააფორმა, ეს გუნდი კი, მოგეხსენებათ, ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშობს და განვლილ სეზონში მესამე ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება დებიუტანტ ლეგიონერებს, 17 წლის ბურჯი **სერგო აბრამიშვილი** ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრია, ახლახან დაბრუნდა სამხრეთ აფრიკაში გამართული თანატოლთა პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირიდან და კარიერას ელიტური პირველი დივიზიონის „სტად ფრანსეში“ გააგრძელებს, ხოლო 20 წლის შერკინების კვაჭი **ლუკა პეტრიაშვილი** ამიერიდან მეორე დივიზიონის „კარკასონში“ დაოსტატდება.

◎ ლეგიონერი

ევროპული დილემა: წასვლა-არწასვლა

ევრო-2020-მა და კოპა ამერიკამ დაუმსახურებლად მიგვავიწყა თანამედროვე ქართული ფეხბურთის უკვე ამოსული ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი ხვიჩა კვარაცხელია, რომელიც შეუდარებელი იყო როგორც ეროვნულ ნაკრებში, ისე ყაზანის „რუბინში“.

რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა და თათრეთის კლუბის სეზონის ასევე უძლიერესი მოთამაშე იქაური 33 გამორჩეულის სიაშიც შეიყვანეს მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე, ნაკლად კი დაბალ შედეგიანობას უთვლიან — მხოლოდ 4 გოლი, თუმცა რატომღაც იმას არ ითვლიან, რამდენი შედეგიანი გადაცემითა და აკიდებული პენალტით შეეშველა პარტნიორებს.

შეგახსენებთ, რომ ჩვენ 20 წლის თანამემამულეს თავის ახლანდელ გუნდთან მოქმედი კონტრაქტი 2024 წლამდე აკავშირებს, მისი სპორტული დირექტორი ოლეგ იაროვინსკი კი მომავლის შესახებ ამბობს: **„ხვიჩას ამბავი ევროპაში სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე დაიწყო. ეს არის ძალიან დიდი ტრანსფერი და დიდი ფეხბურთელი. ასეთი ტრანსფერები მაშინ ხორციელდება, როცა ცაზე ყველა ვარსკვლავი სწორად განლაგდება და არა თითის დაჭერით. ოთხი კლუბია დაინტერესებული და დიდი გუნდებია, უფრო სწორად, წინადადებები სამნახევრისგან(?) მივიღე. ხვიჩაზე ლაპარაკი მაისში დაიწყო და გავითვალისწინოთ, რომ ევროპის ჩემპიონატი ახლახან დასრულდა. კითხვა, თუ რატომ არ გაყიდეთ ხვიჩა, ჰგავს იმას, ჰკითხოთ, თუ რატომ არ არის ივლისში თოვლი“.**

საპირისპიროს ამტკიცებს ბლოგერი და რუსული „ევროსპორტის“ ჟურნალისტი **პაველ გოროდნიცკი,** რომელმაც აღნიშნა, რომ კლუბს არ უდგას აუცილებლობა, რათა ქართველი შემტევი წელსვე გაყიდოს, ვინაიდან დამდეგ სეზონში კარგი თამაშის შემთხვევაში მისი ფასი კიდევ უფრო მოიმატებს: **„ხვიჩა კვარაცხელია ამ ზაფხულში „რუბინს“ არ დატოვებს. ორიოდე თვის წინათ მამამისმა თქვა, რომ რუსეთში თამაშს აღარ აპირებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი შვილი „ზენიტში“ არ გადავიდოდა. ცნობილია, რომ ხვიჩაც ემზადებოდა ევროპაში წასასვლელად. როგორც ხდება ხოლმე, ევროპული კლუბები „რუბინს“ ურეკავენ, ფაქსს უგზავნიან და იქიდან იღებენ პასუხს, რომ მხოლოდ 18 მილიონ ევროდ არ იყიდება იმის გამო, რომ ყაზანელებს სურთ უფრო ძვირად გაყიდონ, მაგალითად — 30 მილიონად. ვის გაყიდის „რუბინი“? კარლ სტარფელტს და ამ ფულით ხვიჩასთან, სლუცკისთან ერთად და ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრის პერსპექტივით მშვიდად იცხოვრებენ“.**

მოკლედ, დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, მანამდე კი გაუწყებთ, რომ პირველი წინასასეზონო სპარინგი ყაზანელებმა მოსკოვის „სპარტაკთან“ 0:4 წააგეს და ხვიჩა მოედანზე 64-ე წუთამდე იყო.

◎ ტოკიო — 2020

უკვე — ექვსნი!

როგორც მოგეხსენებათ, 2018 წლამდე ოლიმპიადების გახსნის საზეიმო ცერემონიაზე ფიცს ცალ-ცალკე წარმოთქვამდნენ სპორტსმენთა, მსაჯთა და მწვრთნელთა რჩეულნი, კორეის ქალაქ პიონჩანგში გამართულ ზამთრის თამაშებზე კი რიტუალი გააერთიანეს.

და აი, მორიგი სიახლე: იაპონიის დედაქალაქში აღნიშნული პატივი ერთბაშად 6(!), გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით გამოვლენილ წარმომადგენლებს უნდა ხვდეთ წილად შემდეგი კვოტით: ორი სპორტსმენი, ორი მსაჯი, ორი მწვრთნელი თითოეულ წყვილში — თითო მამაკაცითა და ქალით, თანაც ტექსტს დაემატა სიტყვები თანასწორობისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ.

აი, განახლებული ვერსია: **„ჩვენ ვიძლევით პირობას, მივიღოთ მონაწილეობა ამ ოლიმპიურ თამაშებში, პატივი ვცეთ და დავიცვათ წესები პატიოსანი თამაშის, ჩართულობისა და თანასწორობის შესახებ.**

ერთად ჩვენ სოლიდარულები ვართ და პირობას ვდებთ — დავკავდეთ სპორტით დოპინგის, ტყუილისა თუ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ჩვენ ამას ვაკეთებთ ჩვენი გუნდების ღირსებისთვის, ოლიმპიზმის ფუნდამენტური პრინციპებისადმი პატივისცემისათვის და იმისათვის, რათა სპორტის დახმარებით სამყარო უკეთესი გავხადოთ“.

აქვე ერთი სავალალო კურიოზის შესახებ: როგორც გაირკვა, თურმე ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ წყვილთა თანრიგში ჩვენი ქვეყნისთის 36-ე ოლიმპიური ლიცენზია დაიმსახურა, მაგრამ სეოკ-ის მესვეურებს ტოკიოში განაცხადის გაგზავნა დავიწყნიათ, ამიტომ მისი ოცნება აუსრულებელი დარჩა. ვიმედოვნებთ, აღნიშნულ ფაქტს სათანადო რეაგირება მოჰყვება.

◎ კალათბურთი

ამერიკული მოზაიკა

ბრეგ პოპოვიჩის გაწვრთნილი ამერიკის „ოცნების გუნდი“ ტოკიოს ოლიმპიადისთვის ლასვეგასში ემზადება და ნელ-ნელა კრეფს სათანადო კონდიციებს.

დასტურად ნიგერიასთან და ავსტრალიასთან სენსაციურად წაგებული სპარინგების შემდეგ არგენტინასთან მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვება გამოდგება — 108:80.

მასპინძელთა სასტარტო ხუთეულმა — ბილი, ლილარდი, ლივაინი, დურანტი, ადებაიო — პირველივე პერიოდში ჩაუგდო მეტოქეს 6 სამქულიანი და მყარი საფუძველი ჩაუყარა ნავსის გატეხას — 33:19, დიდ შესვენებაზე კი უკვე 16-ქულიანი უპირატესობით გავიდა — 58:42.

17-17 ქულით პარტნიორებს **დურანტმა** და **ბილმა** ულიდერეს.

სხვათა შორის, საერთაშორისო რეიტინგის მეოთხე — არგენტინის ნაკრები იმავე ნიგერიასთანაც შერცხვა — 71:94. აფრიკელთაგან ნბა-ში მოთამაშე ლეგიონერები გამოირჩეოდნენ: **ჯალილ ოკაფორი** — 15 ქულა („დეტროიტი“), **ჯოშ ოკოგი** („მინესოტა“) და **ჩიმეზი მეტუ** („საკრამენტო“) — 10-10 ქულა.

ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ 36 წლის „მეფის“ **ლებრონ ჯეიმსის** მიერ ალალად გამოთქმული სურვილიც, რომ კარიერის დასრულება კალიფორნიულ „ლეიკერსში“ სურს, რომელიც შარშან ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი გახდა.

შეგახსენებთ, რომ სულ მის საკლუბო კოლექციას 4 „ოქროს ბეჭედი“ ამშვენებს.



გუშინ გამთენიისას ნბა-ს ჩემპიონობისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა „მილუოკიმ“, რომელმაც კატასტროფული სტარტის შემდეგ, სტუმრად „ფინიქსი“ დაამარცხა — 123:119 (21:37, 43:24, 36:29, 23:29) და 0:2-ის კვალად სუპერფინალურ სერიაში 3:2 დაწინაურდა, თანაც საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ხვალ შინაც გაიმარჯვებს, ტიტულს მოიხვეჭს.

მართალია, პარტნიორებს ყველაზე მეტი — 32 ქულა **ანტეტოკუმპფომ** შეაწია, მაგრამ მან კრიტიკულ ვითარებაში საჯარიმოები გააფუჭა, ამიტომ მატჩის გმირებად **მიდლტონი** (29 ქულა) და **ჰოლიდეი** (27 ქულა, 13 შედეგიანი გადაცემა) უნდა მივიჩნიოთ. პირველმა ზედიზედ ორი სამქულიანი საინფარქტო ბრძოლის საკვანძო მომენტში ჩააგდო, ხოლო მეორემ 120:119-ზე მასპინძელთა ლიდერ ბუკერს (40 ქულა) ბურთი წესების სრული დაცვით აართვა, ანტეტოკუმპფოს გადამწყვეტი შეტევა დააგვირგვინებინა ფარქვეშიდან და მეტოქის კალათზე უმნიშვნელოვანესი მოხსნაც მიითვალა!

მედიასწავლება „ღირსეული პასუხი 2021“ დასრულდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული მედიასწავლება „ღირსეული პასუხი 2021“ დასრულდა, – ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, II ბრიგადის საკონფერენციო დარბაზში სწავლებაში მონაწილე მედიის 16 წარმომადგენელი დახურვის ცერემონიალზე ჩაფხუტებითა და ჯავშანჟილეტებით აღჭურვილი პირდაპირ საველე პირობებიდან დაბრუნდა. მათ „ღირსეული პასუხის 2021“ წარმატებით დასრულება თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ მიულოცა და სერტიფიკატები გადასცა. მინისტრმა მედიის წარმომადგენლებს ახალი ინიციატივებისა და პროექტების შეთავაზება სთხოვა და განხორციელებაში მხარდაჭერა აღუთქვა.

დახურვის ღონისძიებას დაესწრნენ თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი და დასავლეთის სარდალი, ბრიგადის გენერალი კობა გრიგოლია, ასევე, იმ ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, რომლის პირადი შემადგენლობაც მედიასწავლების საველე კომპონენტში უშუალოდ იყო ჩართული.

„ღირსეული პასუხი 2021“ წელს მეოთხედ ჩატარდა. სწავლებას საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის II ქვეითმა ბრიგადამ უმასპინძლა. „ღირსეული პასუხის“ მიზანი მედიის წარმომადგენლებისთვის იმ უნარჩვევების გამომუშავებაა, რაც მათ ჰიბრიდული გამოწვევების პირობებში და კრიზისული მდგომარეობის დროს პროფესიული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში შეუწყობს ხელს.

სამეთაურო-საშტაბო სწავლება „ბასიანი 2021“

ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (JTEC) სამეთაურო-საშტაბო სწავლებას „ბასიანი 2021“ ერთი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა. უწყების ცნობით, სწავლების დასკვნით ფაზას საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი გაეცნო. მან მონაწილე ქვედანაყოფების მართვის პუნქტი და სხვა ლოკაციები მოინახულა და სწავლების მიზნის,ამოცანებისა და ძალთა სტრუქტურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო.

სწავლების ხელმძღვანელმა, თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდალმა, ბრიგადის გენერალმა როლანდ ძნელაძემ სწავლება მონაწილე ქვედანაყოფების წარმომადგენლებთან ერთად შეაჯამა, მიღწეული შედეგები მიმოიხილა და მომავალი სწავლების დაგეგმვის პროცესში გასათვალისწინებელი რეკომენდაციები მისცა.

სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში აღმოსავლეთის სარდლობის შტაბი, პირველი ქვეითი ბრიგადა, განათლების, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის, ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობები, ეროვნული გვარდია, სპეციალური ოპერაციების ძალები, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები იყვნენ ჩართულები. „ბასიანი 2021“ მიზნად ისახავდა საბრძოლო მოქმედებებისა და თავდაცვითი ოპერაციების წარმოების დროს აუცილებელი კომპონენტების დახვეწას. სწავლების ყველა ფაზა ნატოს კოლექტიური წვრთნებისა და სწავლების სახელმძღვანელოს დირექტივების მიხედვით განხორციელდა.



პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ დიდი მწუხარებით იუწყება პარტიის დამფუძნებლის, საქართველოს პარლამენტის მე-6 და მე-8 მოწვევის დეპუტატის, ერთგული მეგობრის, ჭეშმარიტი თბილისელი კაცის

თამაზ ყაჭეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან ერთგული და ძვირფასი მეგობრის, კარგი ქართველი კაცის

თამაზ ყაჭეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტის მე-6 და მე-8 მოწვევის ფრაქცია „მრეწველების“ წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის

თამაზ ყაჭეიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

წელს საქართველოში მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალია

შიდა ქართლის **რეგიონში ხორბლის აღების პროცესი აქტიურ ფაზაშია. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულთან, ვალერიან მჭედლიძესთან გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისში, კომპანიის „სილქ უოთერ გრუპი“ ფართობზე ხორბლის აღების პროცესს – ალოობას დაესწრო.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, წელს საქართველოში მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალია როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით.

კომპანიას „სილქ უოთერ გრუპი“ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისში 120 ჰა-ზე ქართული ჯიშის „ლომთაგორა“ ხორბალს, 50 ჰა-ზე ქერს და 100 ფა ჰართობზე იონჯას აწარმოებს. დღეისათვის, მარცვლოვანი კულტურების მოსავლის აღება აგროვადების დაცვით, შეუფერხებლად მიმდინარეობს. ქვეყნის მასშტაბით, მობილიზებულია შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ 95 ერთეული კომბაინი. აღნიშნული ტექნიკის საშუალებით, შიდა ქართლის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, ჯამში, 14 000 ჰა-მდე ფართობზე, მარცვლოვანი კულტურების მოსავალი უკვე აღებული და დაბინავებულია.

დიდი მწუხარებით და ტკივილით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ახალგაზრდა კაცი, ფარიკაობაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის უმცროსი შვილი, სპორტის ოსტატი ფარიკაობაში, ბრწყინვალე ადამიანი

ნიკა ასათიანი

და სამძიმარს ვუცხადებთ ოჯახს და სპორტულ სამყაროს.

იური ოსიპოვი, გურამ კოსტავა, გივი ცაგარელი, არჩილ გოგელია, ზურაბ ცქიტიშვილი, ლუდვიგ ღაღანიძე, ზაზა მჭედლიძე, დავით სახვაძე, ზურა ბოკუჩავა, გივი ანდრიაძე, ოლეგ ჩერნიშოვი, ჭაბუკი ბოგოხიძე, ძმები აკაკი და კახა მახარაძეები.

101 წლის ასაკში გარდაიცვალა ღირსეული პედაგოგი, მეცნიერი, გეოგრაფი, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, გეოგრაფიული საზოგადოების წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი და რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, 100-ზე მეტი სამეცნიერო-სასწავლო ნაშრომის ავტორი, ღირსების ორდენოსანი

შოთა ცხოვრებაშვილი

იგი შვიდ ათეულ წელზე მეტხანს კითხულობდა ლექციებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

უახლოესი მეგობრები ოთარ ტურაბელიძე, ალექსანდრე (შურა) ციხელაშვილი, მამუკა ვაშაკიძე, გია გაბრიჭიძე, გივი ჯოლბორდი უსამძიმრებენ ცნობილ მხატვარს ნუგზარ (ბუძა) ცხოვრებაშვილს და მის ოჯახს მამის

შოთა ცხოვრებაშვილის

გარდაცვალების გამო.

თბილისის იან კომენსკის სახ. 24-ე საშუალო სკოლის 1966 წლის X[1] კლასის ყოფილი მოსწავლეები უსამძიმრებენ თანაკლასელს დათო შეყრილაძეს მეუღლის, უშესანიშნავესი ქალბატონის

მედიკო ბერაძე-შეყრილაძის

გარდაცვალების გამო.

ჟურნალისტი ეკა ეგაძე გარდაიცვალა

საქართველოს **პირველი არხის ჟურნალისტი ეკა ეგაძე გარდაიცვალა. იგი ოპერაციის შემდეგ რეანიმაციაში მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა. ეკა ეგაძე სხვადასხვა დროს იყო საინფორმაციო გადაცემის წამყვანი, დილისა და გასართობი გადაცემების პროდიუსერი, გადაცემა „დღის კოდის“ პროდიუსერი. საქართველოს პირველი არხი და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ეკა ეგაძის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამენ და მის ოჯახს, ახლობლებს სამძიმარს უცხადებენ.**

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა დაამტკიცა შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მართვის განსაკუთრებული რეჟიმი, რაც მუზეუმში დასაქმებული თანამშრომლების უსაფრთხო ადგილას გადაყვანისა და ფონდების ევაკუაციის სამოქმედო გეგმის თანახმად მოქმედებებს გულისხმობს.

სამოქმედო გეგმა 5 აგვისტოდან 2022 წლის 5 თებერვლამდე პერიოდს მოიცავს და ის დეტალურად, კონკრეტული თარიღებითა და თითოეულ პუნქტზე პასუხისმგებელი პირებით არის გაწერილი.

გეგმის თანახმად, მიმდინარე წლის 5 აგვისტომდე უნდა მოიძიონ მუზეუმის საჭიროებებზე მორგებული დროებითი სივრცე თანამშრომლებისა და საცავებისთვის, ხოლო 2022 წლის 5 თებერვალს მუზეუმის ამჟამინდელი ავარიული შენობის დაცლა დასრულებული უნდა იყოს.

მოცემულ პერიოდში, თავდაპირველად, დროებითი სივრცის რეკონსტრუქცია და ფონდების სხვადასხვა საჭიროებაზე მორგებაა დაგეგმილი, ხოლო ფონდებისა და კოლექციების მიგრაცია ექვს ეტაპად განხორციელდება.

მუზეუმს პირველი ქსოვილებისა და ნაქარგობის ფონდი და არქივისა და მემუარების ფონდი დატოვებს (2021 წლის 10 სექტემბერი), ხოლო ყველაზე ბოლოს, ახალ დროებით სივრცეში ოქროს ფონდი იქნება გადატანილი. ამასთან, ოქროს ფონდის ზოგიერთი, UNESCO-ს საექსპერტო დასკვნის თანახმად ყველაზე დაზიანებული ხატები ამავე დასკვნის შესაბამისად მომზადდება გადასატანად. კერძოდ, მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე დაზიანებული ჭედური ხატების საყრდენი ხის დროებითი გამაგრება უნდა მოხდეს, რაც გადატანისას ხის ჩამოშლის თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. ამისათვის, შეიქმნება ქართულ-უცხოური პროფესიონალთა ჯგუფი.

შეგახსენებთ, რომ 4 ივლისს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა საზოგადოებას აცნობა, რომ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი მართვის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადადის. ამ გადაწყვეტილების საფუძველი გახდა მუზეუმის შენობაზე ჩატარებული ექსპერტიზა და საგანძურის კონკრეტულ ექსპონატებზე (ხახულის ღვთისმშობლის ხატი; ანჩის ხატი; აწყურის ღვთისმშობლის ხატი; წილკნის ღვთისმშობლის ხატი; ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი; ზარზმის ფერისცვალების ხატი; ზარზმის ღვთისმშობლის ხატი (ლაკლაკიძეები); კაცხის მაცხოვრის ხატი; ახალი შუამთის ღვთისმშობლის ხატი) კულტურის სამინისტროს მიერ მოწვეული UNESCO-ს ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნა.

მოცემული დასკვნის თანახმად, ყველა შესწავლილი ხატის (როგორც ფერწერული, ისე ჭედური) საყრდენი ხე დაზიანებულია და არ არის გამორიცხული, ხის დაზიანების პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობდეს. ამასთან, სხვადასხვაგვარად არის დაზიანებული ხატების ფერწერული და ჭედური ნაწილებიც. შესაბამისად, ზოგიერთი ხატის გადაადგილება მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული მეთოდითაა რეკომენდებული, ხოლო დანარჩენი ხატების გადაადგილება იმავე მეთოდით მხოლოდ ხის დროებითი გამაგრების შედეგადაა შესაძლებელი.

„ᲒᲐᲠᲘᲧᲣᲚᲐ“ – ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ირაკლი მეზურნიშვილთან ერთად თანამედროვე ხელოვნების რეგიონულ ცენტრს, არტ-ვილა „გარიყულას“ ესტუმრა, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, მინისტრი ცენტრის საქმიანობას ადგილზე გაეცნო და მისი ხელმძღვანელისგან, მხატვარ ყარამან ქუთათელაძისგან „გარიყულას“ წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ მიიღო ინფორმაცია.

„გარიყულა“ კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ფუნქციონირებს და თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი კულტურული ცენტრების არსებობა, მით უმეტეს რეგიონებში, რათა მოხდეს კულტურის პოპულარიზაცია და სამინისტრო ყოველთვის იქნება მსგავსი პროექტების მხარდამჭერი. ამისთვის თეა წულუკიანმა შესთავაზა არტ-ვილა „გარიყულას“ ხელმძღვანელს კიდევ ერთი სამუშაო შეხვედრის გამართვა, რათა მოხდეს ცენტრის წინაშე არსებულ გამოწვევებზე უფრო დეტალური მსჯელობა, სამომავლო გეგმის დასახვა და განისაზღვროს, რით შეუძლია სამინისტროს კულტურული ცენტრის საქმიანობის უფრო მეტი ხელშეწყობა.

ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲓᲘᲓ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲡᲮᲔᲜᲔᲑᲡ

რეზო გაბრიაძის შემოქმედება ქუთაისში, თეთრ ხიდზე გაიხსენეს. პერფორმანსი, რომელიც გენიოსი ქართველის შემოქმედებას მიეძღვნა, ცათმფრენის გამოჩენით დასრულდა. ღონისძიება რეზო გაბრიაძის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს ქუთაისის მერის ინიციატივითა და მხარდაჭერით გაიმართა.

ცათმფრენი ქართული ფილმის, „შერეკილების“ რეკვიზიტის ანალოგი, მოქანდაკე გიორგი კიკვაძემ ააგო. ღონისძიების რეჟისორი რეზი ქაროსანიძეა. მხატვარი, თეატრისა და კინოს რეჟისორი, მწერალი რეზო გაბრიაძე 6 ივნისს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ᲩᲘᲩᲮᲘᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲐᲛᲓᲔ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ, ᲙᲝᲨᲙᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲔᲑᲘ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲔᲜ

ᲩᲘᲩᲮᲘᲢᲣᲠᲘᲡ კოშკთან მისასვლელი გზისთვის საგარეჯოს მერიამ 425 714 ლარი გამოყო. გზა 41 კალენდარულ დღეში უნდა დაიგოს, რაც იმას ნიშნავს, რომ 1 სექტემბრისთვის მზად უნდა იყოს. მუნიციპალიტეტი ამბობს, რომ ასფალტს მრავალრიცხოვანი ტურისტების და მომლოცველებისთვის აგებს – გზა რეალურად მესაზღვრეებამდე მიდის.

დაჩქარებული შესყიდვის აუცილებლობა ჩიჩხიტურის განსაკუთრებული მნიშვნელობით აიხსნება. სახელმწიფო უწყებები შესყიდვის სააგენტოს არწმუნებენ, რომ კოშკს **„ყოველდღიურად ჰყავს უამრავი მომლოცველი და ტურისტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ხოლო აღნიშნულ ობიექტებამდე მისასვლელი გზა კი არის დაზიანებული, რაც ხელს უშლის მნახველებს გადაადგილებაში და საჭიროებს რეაბილიტაციას.“**



საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ფიქრობს, რომ გზის დაგების შემდეგ მოძრაობა გაადვილდება და ჩიჩხუტურის კოშკი კიდევ უფრო პოპულარული გახდება.

შესყიდვის დოკუმენტაციაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ უდაბნოს მონასტერი და ჩიჩხიტურის კოშკი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სადავო ტერიტორიაზეა მოქცეული – ჩიჩხიტური, უდაბნო და ბერთუბანი ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმმა მიაკუთვნა აზერბაიჯანს. ამ ადგილებში საზღვარი სახელმწიფოებს შეთანხმებული არ აქვთ. 2019 წლიდან ჩიჩხიტურის კოშკს აზერბაიჯანელი მესაზღვრეები აკონტროლებენ, ქართველმა მესაზღვრეებმა კი მთის ქედიდან მის ძირში გადმოინაცვლეს და იქ გახსნეს საგუშაგო. ადგილობრივები ამბობენ, რომ არათუ კოშკთან, კოშკზე ასავლელთანაც შეუძლებელია მისვლა, სამოქალაქო პირებს მესაზღვრეები აფრთხილებენ, რომ აქ მოძრაობა არ შეიძლება – ტურისტებიც უფრო და უფრო იშვიათად ჩნდებიან.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გზის დაგების აუცილებლობის შესახებ 2021 წლის 13 ივლისს ეცნობა, ივლისშივეა გამოცემული მთავრობის განკარგულება პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით, რომელიც მუნიციპალიტეტს საშუალებას აძლევს დაუყოვნებლად დააგოს გზა ჩიჩხიტურის კოშკამდე. პროექტის წარმდგენი ინფრასტრუქტურის სამინისტროა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი 2021 წლის ზაფხულში გზის დაგების აუცილებლობას კარგი ამინდებით და ტურისტების სიმრავლით ხსნის.

ᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ,
„რადიო თავისუფლება“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ – ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ �გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲕᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲜᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.1221; ᲔᲕᲠᲝ - 3.6850;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.3110;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.2134; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.3660;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8338;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.3111.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+20,	ᲓᲦᲔ	+41
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+13,	ᲓᲦᲔ	+38
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+20,	ᲓᲦᲔ	+40
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+17,	ᲓᲦᲔ	+38
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+22,	ᲓᲦᲔ	+39

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge